ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

მადონა ტაკიძე

სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობა პოლიტიკის ფორმირებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა, მათ შორის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამოქალაქო საზოგადოების სწორად ფორმირების პროცესი, რადგან დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში. სახელმწიფოს პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო საზოგადოებასთან, რადგან ერთი განაპირობებს მეორეს და ურთიერთდამკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვანია დემოკრატიის სრულყოფილებისათვის.

საზოგადოება არ უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პასიურ შემსრულებლებს და მთავრობა ანგარიშვალდებული უნდა იყოს მათ წინაშე.

სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ევოლუციის პროცესი, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები, მოქალაქეთა როლი და ჩართულობა პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ნაშრომზე მუშაობისა და კვლევის შედეგების შესაბამისად ჩამოყალიბებული იქნა რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ვინაიდან ძლიერი სამოქალაქო საზოგდოება პირდაპირ განსაზღვრავს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას.

საინტერესო ჭრილშია განხილული ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის საკითხები. მიგვაჩნია, რომ თვითმმართველობა ყველაზე ახლოს მდგომი სახელისუფლებო რგოლია სახელმწიფო მართვაში საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავის, ექვსი ქვეთავისა და დასკვნისაგან. დასკვნის გაკეთებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში დამეხმარა ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა ,,სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობისა და ჩართულობის შესახებ“

მადონა ტაკიძე

Anotation

Georgia has faced many challenges on the path of democratization, including the importance of the formation of civil society, because the active participation of citizens in democratic processes is essential for democratic development. State policy is closely linked to civil society,Because one is the other one and the quality of mutuality is very important for the perfection of democracy.

The society should not be a passive executive of the decisions made by the government and the government should be accountable to them.The master's work analyzes the process of evolution of civil society of Georgia, functions of civil society, role of citizens and involvement in policy formation.

According to the work and research results, the recommendations were developed to promote the development of civil society, as strong civil society directly defines the existence of a democratic state.The issues related to local self-government and civil society are discussed in interesting context. I think the self-government is the closest government authority in terms of public relations in public administration.

The master's thesis consists of seven sections, six subdivision and conclusions. The research I conducted on the conclusion of the conclusion and the recommendations of the "civil society activity and engagement"

Madona Takidze

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანტაცია ქართულად

ანოტაცია ინგლისურად

შესავალი 1

.....

თავი I სამოქალაქო საზოგადოების ცნების ისტორიული და თანამედროვე გაგება 4

თავი II სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები 8

თავი III სამოქალაქო საზოგადოება და ადამიანთა ჯგუფი - საერთო და განმასხვავებელი ნიშნები 11

თავი IV სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში 13

.....

4.1. სამოქალაქო საზოგადოების ისტორიულ სათავეებთან 13

4.2. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ქმედითი ღონისძიებები პოსტსაბჭოთა საქართველში 20

თავი V სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთკავშირი მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით 24

5.1. სახელმწიფო პოლიტიკა და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი 25

5.2. მოქალაქეთა ჩართულობაის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო პოლიტიკაში 28

5.3. მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 32

5.4. საქართველოში ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო მონაწილეობის ინსტრუმენტების მიმოხილვა 34

თავი VI განათლება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის და განვითარების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი 40

თავი VII კვლევა და კვლევის შედეგები 43

დასკვნა 54
ბიბლიოგრაფია 57

შესავალი

საქართველო თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ახალ მმართველობით სისტემებზე გადასვლამ მოითხოვა მთელი რიგი ცვლილებებისა თუ სიახლეების დანერგვა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესის განახლება. თვით სამოქალაქო ტიპის გაერთიანებები ქართული საზოგადოებისათვის არ წარმოდგენს განსაკუთრებულ სიახლეს, რადგან ისტორიული ფაქტები ცხადყოფენ, რომ სხვადასხვა მიზნებისა და ამოცანებისათვის საზოგადოების გარკვეული ნაწილი დროებით ჯგუფდებოდა და ამ მიზნების მისაღწევად ღონისძიებებს მართავდა. თავისი შინაარსით ეს გაერთიანებები იყო როგორც კულტურული, ასევე პოლიტიკური ხასიათის მატარებელი. ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის ნაცნობი თემაა, მაგრამ ის რაც გაიარა საქართველომ საზოგადოებრივი განვითარების კუთხით ბოლო ათწლეულების მანძილზე მოითხოვდა გარკვეულ ტრანსფორმაციას.

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება სწორად დაგეგმარებული და რეალურად განხორციელებული დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ–ერთი მთავარი საყრდენია. თვით დემოკრატია ხალხის მმართველობაა და ის უნდა გავიგოთ პირდაპირი გაგებით – სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების აქტიურ ჩართულობით.

სწორად ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება ერთის მხრივ ეხმარება სახელმწიფო ხელისუფლებას მართვის განხორციელების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ მოქალაქეების მოთხოვნა მიაქვს ხელისუფლებამდე. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ ვალდებულია ყურად იღოს ერის ხმა და გასცეს მას ადეკვატური პასუხი, მოახდინოს სწორი და სწრაფი რეაგირება არსებულ მოვლენებზე.

ყოველივე ზემოთთქმულის აბსოლიტური რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ საჯარო მართვის პრინციპების არსებობისას. საჯარო მართვა გულისხმობს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მჭიდრო ურთიერთობის არსებობას. სწორედ ამ დროს უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საზოგადოების როლი, რომელიც გარკვეულწილად

შუამავლის ფუნქციით სარგებლობს და ხალხის მიერ გამოხატული აზრისა და ნების სამართლებლივი ფორმულირების შემდგომ აწვდის მას ხელისუფლებას და პირიქით ხელისუფლების მიერ მიღებული კანონებისა თუ ნორმების საზოგადოებაში სწორ და სრულყოფილ რეალიზებას ახორციელებს.

სამაგისტრო ნაშრომის თემეტიკა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვასა და შესწავლას ეხება, ის ასევე მოიცავს ისეთი მოვლენის გაანალიზებას, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობა პოლიტიკის ფორმირებაში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს სამოქალაქო საზოგადოების ცნება, წარმოშობის ისტორია და რაც მთავარია განსაზღვროს მისი როლი და ჩართულობა პოლიტიკის ფორმირებაში, შესწავლილ იქნეს სამოქალაქო საზოგადოების ევოლუციის პროცესი საქართველოში, ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების, პრინციპების, სახელმწიფო პოლიტიკაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხრისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

ნაშრომზე მუშაობის დროს ჩატარებული კვლევის შედეგად მომზადებულ იქნას შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესს და მათი ჩართულობის ზრდას.

საკვლევი თემის აქტუალობა ერთმნიშვნელოვანია, რადგან ის ეხება მეტად აქტუალურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხს – სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობას ჩვენი ქვეყნისთვის. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება პირდაპირ განსაზღვრავს დემოკრატიულ და ძლიერი სახელმწიფოს არსებობას, რომლის მთავარი ამოცანა ქვეყანაში მშვიდობა და პოლიტიკური სტაბილურობაა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე წარმოადგენს მცდელობას შესწავლილი იქნას საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციები, ამის საფუძველზე განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი. ასევე, სამოქალაქო მონაწილეობის ინსტრუმენტების მიმოხილვა და მათი ეფექტურობის განსაზღვრა.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავის, ექვსი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომში განხილულია საკითხები, რომელიც მოიაზრებს სამოქალაქო საზოგადოების არსსა და მნიშვნელობას, სამოქალაქო საზოგადოების ცნების ისტორიულ და თანამედროვე გაგებას, ჩამოყალიბების საფუძვლებს, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციებსა და ფორმირების საკითხებს საქართველოში, მოქალაქეთა ჩართულობის როლსა და მნიშვნელობას სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში.ასევე აქცენტი გაკეთებულია საქართველოში ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო მონაწილეობის ინსტრუმენტების მიმოხილვასა და სამოქალაქო განათლების როლზე თანამედროვე საზოგადოების ფორმირების პროცესში.

სამაგისტრო თემაზე მუშაობის დროს ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები.კვლევა განხორციელდა ღია და დახურული კითხვების გამოყენებით.გამოკითხვის ობიექტს წარმოადგენდნენ რესპოდენტები 18 წლიდან ზევით.სულ გამოკითხულთა რაოდენობა 103 რესპოდენტს შეადგენს. მათ უპასუხეს 10 შეკითხვას.კვლევა განხორციელდა 2019 წლის მაისში.

თავი I სამოქალაქო საზოგადოების ცნების ისტორიული და თანამედროვე გაგება

მოქალაქეობის არსს სახელმწიფოს დაარსება უდევს საფუძვლად. ტომობრივ–გვაროვნულ წყობას ანაცვლებს საზოგადოების უფრო დახვეწილი ფორმის გაერთიანება – სახელმწიფო, ჩნდება მასში ადამიანის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის საკითხი. აქედან გამომდინარე ადამიანის სახელმწიფოში არსებობის სამართლებრივ მდგომარეობას ცნება „მოქალაქე“ განსაზღვრავს. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების ცნებას ის კვლევის საინტერესო საკითხს წარმოადგენს. ენციკლოპედიურად მათი განმარტებების მრავალფეროვან სახეს ვხვდებით. მათ წარმოშობა - განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს.

სახელმწიფო საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება. იგი საზოგადოების განვითარების პროდუქტია. საზოგადოება შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოს გარეშე, თუმცა, პირიქით, სახელმწიფოს არსებობა საზოგადოების გარეშე წარმოუდგენელია. საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებობს კანონზომიერი, ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი. თანამედროვე საზოგადოებას სტრუქტურულად საკმაოდ რთულ გაერთიანებას, მისი მრავალფეროვნებისა და აქედან გამომდინარე, შესაძლო დაპირისპირებულობის გამო, აუცილებლად სჭირდება ძალა, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისა და თვით ადამიანთა ქცევის კონტროლის განხორციელების მიზნით.

ასეთ ძალას წარმოადგენს სწორედ სახელმწიფო, მისი ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოებაში თავისი მაკოორდინირებელი როლით სიკეთეც მოაქვს თვით საზოგადოებისათვის.[11]

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დიდია მკვლევარების წვლილი პოლიტიკური თეორიებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესწავლის საქმეში. თითოეული თეორია კონკრეტული ეპოქის სოციალურ მახასიათებლებს შეესაბამება.

სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვა, ფორმირება და სრულყოფა თავად სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების ხარისხზე მეტყველებს.

პირველად ტერმინი – სამოქალაქო საზოგადოება, დიდი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და სწავლულის არისტოტელეს შრომებში გამოიკვეთა. არისტოტელე თავის ნაშრომში ,,პოლიტიკა'' (ძვ. წ. 384-322) გამოთქვამდა მოსაზრებას სახელმწიფოს შესახებ. მისი აზრით სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება თანაცხოვრებისაკენ, რომ ადამიანი პოლიტიკური არსებაა. ადამიანთა ასეთ მიდრეკილებას მივყავართ ოჯახის წარმოშობამდე, ხოლო ოჯახისაგან წარმოიშობა სოფელი, სოფლისგან-სახელმწიფო. არისტოტელე გვთავაზობს სახელმწიფოს შემდეგ განმარტებას: ,,სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მოქალაქეთა ერთობლიობა. მოქალაქე არის ის, ვინც სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეობაში იღებს მონაწილეობას და სახელმწიფო, პოლისი და სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთის სინონიმებია, ხოლო მათი საფუძველი მოქალაქეა.“[1]

ცნება „სამოქალაქო საზოგადოება“ დებატების საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა ეპოქის გამოჩენილი მოაზროვნეებისა და ფილოსოფოსების ნაშრომებში. სამოქალაქო საზოგადოების იდეამ, როგორც დემოკრატიის აუცილებელმა კომპონენტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდეგ. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნების ,,სამოქალაქო საზოგადოება'' ბევრი განმარტება არსებობს. საკითხის სიღრმისეულად გაგებისათვის განვხილოთ რამდენიმე მათგანი.

პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებლი, იტალიელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე ნიკოლო მაკიაველი (1469-1527წწ) თვლიდა, რომ ადამიანის სულის უმაღლესი გამოხატულებაა სახელმწიფო, ხოლო ცხოვრების აზრი და ბედნიერება - სახელმწიფოს სამსახური. იგი თვლიდა, რომ მთავარმა, ანუ მმართველმა, უნდა დაიცვას საზოგადოების პირადი და სახელმწიფო ინტერესები. მაკიაველი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სახელმწიფოს, იგივე სამოქალაქო საზოგადოების მმართველობის დამყარებას. ნაშრომში „მთავარი'' (Il Principe) – მაკიაველმა გამოხატა პოლიტიკური შეხედულებები, რომელიც დაწერილია პოლიტიკური ლიდერის სახელმძღვანელოდ. მასში განხილულია ძალაუფლების აღებისა და შენარჩუნების ხერხები სხვადასხვა ვითარებაში. მან მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და შეიმუშავა ის პრაქტიკული საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ევროპული პოლიტიკის განხორციელება. მაკიაველის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია პრაგმატიზმი (როცა პოლიტიკური ქმედების მოტივაცია განპირობებულია საზოგადო სიკეთის მოსაზრებებით). მის მიერ პრაგმატიზმის დამკვიდრებამ შექმნა თეორიული საფუძველი იმისათვის, რომ სახელმწიფოს რეალური საყრდენი მოქალაქეთა პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა ყოფილიყო, რაც განვითარების საშუალებას აძლევს დემოკრატიულ ინსტიტუტებს.[9]

ფრანგი განმანათლებლის, ფილოსოფოსის, მწერალისა და კრიტიკოსის, შარლ ლუი მონტესკიეს (1689-1755წწ) მოსაზრება მეტად საინტერესოა სამოქალაქო საზოგადოების შესახებ. ნაშრომში „კანონთა გონი" გაანალიზებულია მწერლის სამართლებრივი, სოციოლოგიური, ეკონომიკური და ისტორიული შეხედულებები. ის ამბობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ისტორიული განვითარების შედეგია. ,,დემოკრატიებში ხალხს ერთი შეხედვით შეუძლიათ აკეთონ ის რაც სურს, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება სრულებითაც არ მდგომარეობს იმის კეთებაში რაც მოგვესურვება. საზოგადოებაში სადაც არის კანონები, თავისუფლება იმის კეთების უფლებას იძლევა რაც კანონით დასაშვებია. პოლიტიკური თავისუფლება ზომიერ მმართველობაშია. ეს კი მხოლოდ მაშინ არსებობს როცა ადგილი არ აქვს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, მაგრამ საუკუნეთა

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალაუფლების მქონე ნებისმიერი ადამიანი მიდრეკილია მისი ბოროტად გამოყენებისაკენ. ამას მანამ სჩადიან სანამ ზღვარი არ დაედება.'' მისი აზრით დემოკრატიულ სახელმწიფო წყობაში აუცილებელია ძალაუფლების იმგვარად მოწყობა, რომ იმას, ვის ხელშიც იგი არის, მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა არ მიეცეს და საამისო ცდუნებაც ვერ გაუჩნდეს. ეს მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლების სხვადასხვა სახეობები განაწილებულ იქნება სხვადასხვა პირებსა და უწყებებს შორის, კერძოდ აუცილებელია სხვადასხვა ხელში იყოს საკანონმდებლო ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო ხელისუფლება, რომელიც თვალს ადევნებს კანონთა შესრულებას და მათ დამრღვევებს დასჯის. [10]

ადამ სმიტი[1] თავის ნაშრომში *„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“* ჩამოაყალიბა შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანის მამოძრავებელი მხოლოდ პირადი ინტერესებია და სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა იმოქმედოს საკუთარი მიზნებისათვის და მოიპოვოს ამ მიმართულებით უპირატესობა, დანარჩენი სხვა: კერძო საკუთრების დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, პოლიტიკურ ეკონომიკური სფერო, სამოქალაქო წესრიგი, მიუკერძოებელი სასამართლო, მთავრობამ უნდა უზრუვნელყოს. ანუ კონკრეტულ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს საწყისი ინტერესები, რომელიც უნფრო ზოგადი ხასიათისაა და ემყარება საერთო კეთილდრეობას, მაგრამ მისი შესრულების ტექნიკური მხარე უკვე ხელისუფლების პრეროგატივაა.[8]

ყოველ ეპოქაში იყო მცდელობა შეესწავლათ და წარმოეჩინათ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებები. თითოეული მათგანი ქმნიდა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე საკუთარ შეხედულებებს. არსებობს სამოქალაქო საზოგადოების კიდევ სხვა მრავალი განსაზღვრება, რომელთა შეჯერების საფუძველზე ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ლარი დაიმონდი გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: ,,**სამოქალაქო საზოგადოება ეს არის საზოგადოების ნებაყოფილობითი ორგანიზების ტიპი, სადაც მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამოქალაქო საზოგადოება მოქალაქეთა ერთობაა, რომლის**

[1] **ადამ სმიტი** – შოტლანდიელი პოლიტიკური ეკონომისტი და ფილოსოფოსი.

საქმიანობა თავისუფალია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისგან. იგი შედგება სხვადასხვა ინტერესებით – ეკონომიკური, კულტურული, სამოქალაქო, სოციალური გაერთიანებული ჯგუფებისაგან, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს, ხელისუფლების ქმედებას, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ჩართვისა და მონაწილეობის ხელშეწყობის გზით."[22]

თავი II სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები

სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა ორგანიზების ის სფერო, რომლის ძირითად მიზანს სახელმწიფოს განვითარება წარმოადგენს და ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ფუნქციებისა და შინაარსის მქონე საზოგადოებები იქმნება. თითოეულის საბოლოო მისია სახელმწიფოს კეთილდღეობა. რამდენადაც მრავალფეროვანია სამოქალაქო საზოგადოება ქვეყანაში, მით უფრო სასარგებლოა, რადგან მაღალი კონკურეცია ფართო გასაქანს აძლევს სახელმწიფოს მრავალმხრივი განვითარებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოებას და ხელისუფლებას ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები და ფუნქციები აქვთ, რაც განაპირობებს მათ ურთიერთგამიჯვნას.

სამოქალაქო საზოგადოების მიზანია დააკმაყოფილოს მოქალაქეთა ინდივიდუალური მოთხოვნილებანი. მათ არ გააჩნიათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და

მართლმსაჯულებითი ფუნქცია. თავიანთ საქმიანობაში ემყარებიან მოქალაქეთა თანხმობასა და ნებაყოფლობას. რაც შეეხება **ხელისუფლების ფუნქციას** წარმოადგენს საკანონმდებლო სივრცის შექმნა, მისი აღსრულების უზრუნველყოფა, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ანუ ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოების თეორიული იდეების პრაქტიკული განმახორციელებელია.

სამოქალაქო საზოგადოების არსებობისთვის ნორმალურ პირობებს ქმნის დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც არ ერევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში, მაგრამ აყალიბებს იმ კანონებს, რომლის ჩარჩოებშიც მოქმედებენ დამოუკიდებლად.

სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია:

1. **ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა.** სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ინტერესთა ჯგუფების ერთობლიობას, რომლებიც იქმნება მოქალაქეთა ინიციატივით, ხელისუფლების ჩარევის გარეშე. ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია საინიციატივო ჯგუფის წევრთა მიერ საქმიანობის მიზნების, ამოცანების და შედეგების მიღწევის გზების მკაფიო ხედვა.

2. **შეთანხმება და ხელშეკრულება**. მოქალაქეთა გაერთიანებას საფუძვლად უდევს მათი საერთო ინტერესები, რომელიც გაერთიანების წესდების სახით ფორმირდება. ნებისმიერი სამოქალაქო ერთობისთვის აუცილებელი პირობაა საერთო ინტერესზე, მიზანზე შეთანხმება და ამ შეთანხმების როგორც წევრთა შორის დადებული ხელშეკრულების გაფორმება.

3. **თვითმმართველობა.** სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება ემყარება თვთმმართველობის პრინციპს. მათ საქმიანობას განსაზღვრავს არა ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, არამედ მათივე შემუშავებული წესდება და პროგრამა.თუმცა აუცილებელ პირობას წარმოადგენს აღნიშნული წესდებისა და პროგრამის კონსტიტუციასთან თუ სხვა საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

4. **ცნობიერება და მიზანდასახულობა.** მოქალაქეთა გაერთიანება ხდება მიზანდასახულად. ისინი აცნობიერებენ მიზნების ერთობლიობას და ეფექტურობას. ეს არის

ინდივიდების მიერ თავისუფალი არჩევანის შედეგი, რომელიც ხორციელდება ნებაყოფილობით და არა იძულებით.

5. **არაერთგვაროვნება, განსხვავებულობა.** სამოქალაქო საზოგადოებაში იქმნება მრავალი ერთმანეთისგან განსხვავებული ჯგუფი და ორგანიზაცია, რომლებიც მოიცავენ ადამიანთა საქმიანობის ფართო სპექტრს:პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერული, შემოქმედებითი გაერთიანებები,სპორტული და გართობის მიზნით შექმნილი კავშირები.[13]

პოლიტიკური სოციოლოგი, პროფესორი ლარი დაიმონდი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას ბევრი ბერკეტი აქვს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, კერძოდ აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია თვალყური ადევნოს ხელისუფლების საქმიანობას და უზრუნველყოს მათი ანგარიშვალდებულება კანონისა და მოსახლეობის წინაშე, გაზარდოს ცნობიერების დონე მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ხელი შეუწყოს პოლიტიკური მონაწილეობის წახალისებას. დემოკრტიულ ქვეყანაში განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლების მონიტორინგთან ერთად მიზნად უნდა ისახავდეს სახელმწიფოს განვითარების გეგმასა და საზოგადოების კეთილდღეობას. წარმატებით ფუნქციონირებად არასამთავრობო ორგანიზაციებს შესწევთ უნარი მოახდინონ ადამიანთა მოტივირება, სხვადასხვა ეფექტური ტრენინგების გზით ხელი შეუწყონ მოქალაქეთა აქტიურობის ზრდასა და მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ასევე შესწევთ ძალა ინფორმაციის გავრცელებისა და ამ გზით ხელს უწყობენ მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ზრდას, რაც ნიშნავს იმას რომ საზოგადოებას შეეძლება საკუთარი ინტერესების უკეთ დაცვა.

იმდენად რამდენადაც საზოგადოების სოციალური სფერო მრავალფეროვანია, შეიძლება გამოიყოს სამოქალაქო საზოგადოების შემდეგ ძირითადი ჯგუფები:

- ✓ **ეკონომიკური** (სამეწარმეო და კომერციული ასოციციები და ქსელები);
- ✓ **კულტურული** (რელიგიური,ეთნიკური);
- ✓ **ინფორმაციული და საგანმანათლებლო;**
- ✓ **ინტერესებზე დაფუძნებული;**

- ✓ **განვითარებაზე ორიენტირებული;**
- ✓ **გარკვეულ პრობლემაზე ორიენტირებული** (გარემოს დაცვის მოძრაობა, ქალთა უფლებების დაცვა და სხვა);
- ✓ **მოქალაქეობრივი** (ცდილობენ არაპოლიტიკური გზით გააუმჯობესონ მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე).[22]

თავი III სამოქალაქო საზოგადოება და ადამიანთა ჯგუფი - საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

საზოგადოების ფართო სპექტრში ხშირად იმართება დისკუსია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მოქალაქეობა, სამოქალაქო საზოგადოების არსი და მნიშვნელობა, ადამიანთა სხვადასხვა გაერთიანებების ადგილი სახელმწიფოში, არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ფუნქციები. თანამონაწილეთა ერთი ნაწილის აზრით ეს ცნებები თითქმის იდენტურ ხასიათს ატარებს, ზოგიერთი კი მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან.

განათლების მეცნიერებების დოქტორანტი, ნათია გორგაძე თავის ნაშრომში: **,,აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა**“ საინტერესოდ აყალიბებს განსხვავებას სამოქალაქო საზოგადოებასა და უბრალოდ ადამიანთა ჯგუფს შორის: *„სამოქალაქო საზოგადოება ადამიანთა გაერთიანებაა თუმცა, მისი მთავარი მახასიათებელი მაინც ისაა, რომ მათ გააჩნიათ წესები, კანონები, რომელიც ერთგვარად ჩარჩოებში აქცევს მათ საქმიანობას. სამოქალაქო საზოგადოება შეთანხმების პრინციპზეა აგებული. ანუ მასში გაერთიანებულნი არიან ერთი იდეის, მიზნის მქონე ადამიანები, რომელთაც საერთო ღირებულებები გააჩნიათ. სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მახასიათებელი ნებაყოფლობითი ხასიათის გაერთიანებაა და სწორედ ეს თავისუფლება განაპირობებს მის კანონიერებას, რაც იმას ნიშნავს რომ იძულებითი ფორმის ურთიერთობები სამოქალაქო საზოგადოებისათვის მიუღებელია. ადამიანთა რომელი ჯგუფი შეიძლება მივაკუთვნოთ სამოქალაქო საზოგადოებას? ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, მაგალითად ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის მთავარი ფუნქციაა შეასრულოს დამაკავშირებელი რგოლის მისია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, მაგრამ ის ამ ფუნქციას ხელისუფლებაში მოსვლითა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღებით ანხორციელებს. აქედან გამომდინარე პოლიტიკური პარტიები გარკვეული დროით ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების როლს.კერძო სექტორის ფუნქცია წაგავს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციას შეინარჩუნოს ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკა და ხელი შეუწყოს მის განვითარება, თუმცა კერძო სექტორი ამას საკუთარი ფინანსური ინტერესების გავლით ახორციელებს და ეს მისი კანონიერი უფლებაა.* “[5]

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოება მიიჩნევა სამოქალაქოდ მაშინ, როცა სრულდება შემდეგი ძირითადი პირობები:

- ✓ **ნებაყოფილობითობა;**
- ✓ **თვითწარმოქმნადობა;**
- ✓ **ავტონომიურობა;**
- ✓ **წესებზე დამოკიდებულობა;**

ასევე არსებობს ზოგადი პირობები, კერძოდ ისინი უნდა ემსახურებოდნენ არა პირად ინტერესებს, არამედ უნდა უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივ სიკეთეს. სამოქალაქო საზოგადოება გამოყოფილია პოლიტიკური საზოგადოებისგანაც, რადგან ასრულებენ მხოლოდ შუამავლის ფუნქციას მოსახლეობასა და სახელმწიფოს შორის.

თავი IV სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში

4.1. სამოქალაქო საზოგადოების ისტორიულ სათავეებთან

ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ განიცდიდა ისეთი ღირსეული მოქალაქეების, საზოგადო მოღვაწეების ნაკლებობას, რომლებიც მნიშვნელოვან კვალს ტოვებდნენ ქვეყნის

განვითარებაში და აქტიურად იყვნენ ჩართული ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ყურადღება გამახვილებულია ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებზე და მათ საქმიანობებზე საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების საკითხში.

ნებისმიერი მოვლენის შესწავლისას აუცილებელია დავადგინოთ მისი წარმოშობა და განვითარება. საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა მიდგომები, თეორიები რომლებიც ხელს უწყობდნენ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. წარსულის ანალიზი საშუალებას მოგვცემს ღრმად ჩავწვდეთ იმდროინდელი საზოგადოების დანიშნულებას და ფუნქციას სახელმწიფო მმართველობის თვალსაზრისით.

სამოქალაქო საზოგადოების, თვითმმართველობის, დემოკრატიის საკითხების გახილვისას ძირეულ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ინიციატივის ნაკლებობა, უნდობლობა, ადგილობრივი დემოკრატიის სისუსტე, მაგრამ სამაგისტრო თემაზე მუშაობისას ცხადად დავინახეთ, რომ საქართველოს ნამდვილად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გამოცდილება და ისტორია გააჩნია.

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ორატორია. მრავალმხრივია მისი შემოქმედება: პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, თარგმანი, ანალიტიკური ნააზრევი. ამათთან ერთად მნიშვნელოვანია ილიას წვლილი საზოგადოებრივ საქმიანობაში: ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი, გამომცემელი, („საქართველოს მოამბე“ 1863 წლიდან, „ივერია“, 1877 წლიდან) ბანკის დამაარსებელი და მმართველი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი, ის მხარს უჭერს ქართულ თეატრსაც. ილია ეხმიანება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ ცხოვრებას, ამზეურებს აქტუალურ პრობლემებს, პუბლიცისტური წერილებით ქმნის სამოქალაქო აზროვნების სივრცეს და აყალიბებს მოქალაქის შეგნებას.

ილია მოუწოდებს საზოგადოებას ***,,მოქმედება უმოქმედობის ნაცვლად, ახლის ქმნა დარდის ნაცვლად, მიზანმიმართულება უმიზნობის ნაცვლად, პასუხისმგებლობა და ზრუნვა უდარდელობის ნაცვლად, სწავლა და გონიერება უგუნურობის ნაცვლად, სულიერება***

უსულობის ნაცვლად, თავდადება თავკერძოობის ნაცვლად, ერთსულოვნება და ერთგულება ორგულობის ნაცვლად, კავშირი გათიშულობის ნაცვლად, მსოფლიო პროგრესში ჩართვა და სიახლეების ათვისება ქვეყნის თვითიზოლაციის ნაცვლად'[15]

ილია ეწინააღმდეგება ისეთ ცნობიერებას, რომელიც ამბობს: ***„თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდან კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალი კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა!"***[16] ილიას არ აკმაყოფილებს იმ დროინდელი ცვლილებები და საზოგადოებისგან უფრო მეტს მოითხოვდა.

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879-1927წწ), რომლის წინაშეც იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანები: შეეჩერებინათ საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ დაგეგმილი ე.წ. „რუსიფიკაციის" პროცესი, განათლების სიტემა ეროვნულ საწყისებზე დაებრუნებინათ და ხელი შეეწყოთ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის.

დიდია იაკობ გოგებაშვილის ქართველი პედაგოგის, კლასიკოსის, საზოგადო მოღვაწის, განმანათლებლის, პუბლიცისტის წვლილი სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილი მიესალმება „წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას", მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს: ***„ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი*** **საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულა, მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორიც არის ერის განათლება, იგი ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისა, არამედ ვალად იდებს ზრუნვას მთელს ერზედ, მისთვის არ არსებობენ: არც თავადი, არც აზნაური, არც სამღვდელო, არც გლეხი, იგი ემსახურება საერთოდ მთელს საქართველობასა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი რომელიმე კუნჭულით, მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო. ამ გვარს საზოგადოებას ბევრი კეთილი წადილისათვის უნდა შეესხა ფრთები და დიდი იმედი**

დაებადა ჩვენს საზოგადოებაში“ [3].

იაკობ გოგებაშვილი პრობლემების არსებობას ცხადად გრძნობს და ამბობს:

,,სამწუხაროდ, წერა-კითხვის საზოგადოების საქმეების მართვა თავდაპირველად ცენტრალიზაციის სისტემაზედ მოეწყო, ცენტრალიზაციის კალაპოტში ჩაიჭედა. ათიოდე თბილისში მცხოვრები პირნი, აღმორჩეული თბლისელებისგანვე, მართავენ და განაგებენ ამ რთულ საქმეს... იგინი მოვალენი არიან საქმე წინ წააყენონ კახეთშიაც და გურიაშიაც, სვანეთშიაც და მესხეთშიაც. არცერთი კუთხე საქართველოსი თვითონ თავისი საკუთარი ძალით და მხნეობითა არ იღებს მონაწილეობას თავისივე განათლების საქმეში. ყველგან დაიმედებულნი არიან თბილისელ გამგეობაზედ, ყოველი კუთხე ცენტრიდან მოელის საქმის დაწყებასა და გაკეთებასა. შემოსცქერიან თბილისს: სიღნაღიც, თელავიც, დუშეთიც, გორიც, ახალციხეც, ქუთაისიც, ონიც, ზუგდიდიც, ოზურგეთიც, სოხუმიც. ძალაუნებურად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასაც ეს ბიოროკრატიული სენი დაემართათ. ამ სენის წყალობით ბევრი ოზმა[2] ქაღალდი დაიწერა, ბევრი ბოთლი მელანი დაიცალა და საქმე კი ცოტა გაკეთდა და კეთდება.''[3]

იაკობი პრობლემის მოგვარების გზას ხედავს შემდეგში:

„რომელი მხარეც უნდა აიღოთ წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედებისა, ყველგან საჭიროა ადგილობრივი მოქმედნი პირნი, ადგილობრივნი ხელმძღვანელნი. საკვირაო სკოლების წარმოება, სახალხო და საბავშვო წიგნების თარგმნა, თუ შედგენა, სახალხო საუბრების გამართვა, სახალხო ბიბლიოთეკების დაარსება, წიგნებით შემწეობა ღარიბთა მოსწავლეთათვის, სპექტაკლებისა და სალიტერატურო საღამოების გამართვა საზოგადოების სასარგებლოდ . ყველა ეს ერთად, თვითონ ითხოვს ადგილობრივს თაოსნობას. თბილისში მყოფი გამგეობა უნდა იქმნას წესისა და რიგის მიმცემი თავისი პროვინციული განყოფილებისა, აგენტურებისა. შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ პროვინციის ქართველებს არა აქვთ თავი ამ გვარი საქმისათვის და მათი მონაწილეობა იქნება ამაო და ფუჭი. ჩვენი ქვეყნის ყველა თვალსაჩინო კუთხეში იპოვებიან პირნი,

[2] ოზმა - ქაღალდის საზომი ერთეული. მეტრული ზომების შემოღებამდე უდრიდა 480 ფურცელს. მეტრული ოზმა შეადგენს 1000 ფურცელს

რომელთაც ცოდნა და სურვილი სრულს შეძლებას აძლევენ მიიღონ ნაყოფიერი მონაწილეობა ამ საქმეში, საჭიროა მხოლოდ, რომ ისინი გამოწვეულ იქნან ამ ასპარეზზე, აღიარებულ იქნან აგენტებად და მიენიჭოს მათ ჯეროვანი სანქცია საზოგადოებისაგან“ [3].

იაკობ გოგებშვილს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა გაცნობიერებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დატვირთვა. პრობლემის მოგვარების გზად კი საზოგადოების აქტიურ ჩართულობაში ხედავდა.

პროფესორი ვაჟა შუბითიძის მონოგრაფიაში **„ნიკო ნიკოლაძე კაცი–სახელწმიფო“** გაანალიზებულია ის დიდი წვლილი, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ გასწია ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის: *,,ნიკო ნიკოლაძის დასახასიათებლად ძველი ტერმინები მეპატარავა და ახლის შემოღება და დამკვიდრება ვცადე.* ***ესაა კაცი-სახელმწიფო*** *სწორედ ეს ტერმინია ზედგამოჭრილი ნიკო ნიკოლაძის წარმოუდგენლად დიდი ღვაწლის საჩვენებლად. ამ უდიდესმა საქმიანმა პატრიოტმა შეძლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური საკითხების დაყენება და გადაწყვეტა, ასევე დიდი ქართული პროექტების წამოწყება და გასრულება, რაც დღესაც სახელმწიფოების და ინსტიტუტების ფუნქციაა.’*[14]

ნიკოლაძემ წარმოაჩინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და გამოსწორების გზებსაც გვთავაზობს: *,,ერი ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუ ის არ განვითარდა და მოძლიერდა სოციალ-ეკონომიკურად და კულტურულ-შემეცნებითი თვალსაზრისით, თუ მან არ განავითარა ავტონომიური ერთეულები - თვითმართველობა, დემოკრატია, პოლიტიკური სისტემა, პლურალიზმი და შიდასახელმწიფოებრივი ინსტიტუციები. უშრომელად ვერც ერთი ხალხი ვერ გამდიდრდება. არ შეიძლება ქვეყანაში მუდმივად გამეფებული იყოს სხვისი მოიმედეობისა და დახმარების განწყობილება, რადგან საკუთარ თავზე უკეთესი დამხმარებელი ჩვენ არავინ გვეყოლება მომავალშიც.* “[14]

ნიკო ნიკოლაძემ ასევე დაუსაბუთა ქართველებს, რომ არაა აუცილებელი ველოსიპედის ხელახლა გამოგონება, უნდა გამოვიყენოთ უცხოური დადებითი

გამოცდილება, მაგრამ **აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი განვითარების ეროვნული მოდელი, დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესზე და მდიდარ ტრადიციებზე**. ეს მოდელი კი უცხოელებს კი არ უნდა შეექმნათ ჩვენთვის, რომლებმაც ქართული სპეციფიკა და რეალობა არ იციან, არამედ განათლებულ ქართველებს *:„ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ, ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს".* [14]

ნიკო ნიკოლაძე უდავოდ იყო საქართველოში ახალი იდეების გენერატორი და განმახორციელებელი, ქვეყნისათვის მიმართულების მიმცემი დიდი მამულიშვილი. ის მოუწოდებდა სამოქალაქო საზოგადოებას მეტი აქტიურობისაგან, რადგან მიაჩნდა, რომ მათზეა დამოკიდებული ქართული საზოგადოების მომავალი.ასევე სახელმწიფოს გონივრული ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად თვლიდა ხალხისთვის ინიციატივის მიცემას. ,,საკმარისია, ჩვენ ხალხს მივცეთ ინიციატივა ნამდვილი და თვალსაჩინო პროგრესისაკენ და ამ საქმის ინიციატორი არა თუ უაზრო წინააღმდეგობას არ წააწყდება ,,ბრბოსაგან'', არამედ ყველგან იგრძნობს მხარდაჭერას და დახმარებას.'' [14]

საქართველოში ისტორიული ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა გაერთიანებები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას.

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ბევრი დოკუმენტი თუ ზეპირი ისტორია უკვალოდ დაუკარგა ჩვენს თაობებს, მაგრამ XIX და XX საუკუნის მოღვაწეების ძალისხმევის შედეგი გვაძლევს საშუალებას გავიგოთ რა პროცესები ვითარდებოდა ჩვენს საზოგადოებაში საუკუნის წინ, რა მიზნები და იდეები ამოძრავებდათ ამ ადამიანებს. გავეცნოთ ფაქტებს, რომელსაც გვთავაზობს კვლევით-საგანმანათლებლო პროექტი ,,ინიციატივა ცვლილებებისთვის".

პუბლიკაციაში წარმოჩენილია ისტორიული მოვლენები, რომლებიც ცხადყოფს რომ საქართველოს ისტორიულად ნამდვილად ჰქონდა საზოგადოებრივი გაერთინებების

პრაქტიკა.

ისტორიული მაგალითები შემდეგ ძირითად მიმართულებებად ჯგუფდება:

- სოფლის თვითმმართველობა და თვითორგანიზების გამოცდილება,
- კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები და ორგანიზაციები,
- სამეურნეო გაერთიანებები, კორპორაცია და ამხანაგობები.[4]

სოფლის თვითმმართველობისა და თვითორგანიზების მაგალითებიდან კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია სასოფლო მდგომარეობის გაუმჯობასებაზე ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას და ცალკეული პიროვნების ინიციატივას. სოფლის თვითმმართველობისა და თვითორგანიზების გამოცდილებაზე მასალებს ვხვდებით პუბლიკაციაში ,,ინიციატივა ცვლილებებისთვის'' , სადაც განხილულია სიღნაღის რაიონ სოფელ ტიბაანში არსებული ვითარება. ტიბაანში ისევე როგორც სხვა სოფლებში მთელი საქართველოს მაშტაბით 1918 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე იმართებოდა სოფლის ყრილობა, რომელსაც ,,სოფლობა" ეწოდებოდა.

სოფლის ყრილობა მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა და აღმასრულებელი ხელისუფალი იყო მამასახლისი. სოფლობა წარმოადგენს თვითმმართველობის საწყისს სოფლად, რადგან მანამდე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არ არსებობდა. კრება განსაზღვრული გრაფიკით არ იკრიბებოდა და მისი ინიციატორი შეიძლება ყოფილიყო მამასახლისი ან მთელი სოფელი. სავალდებულო იყო სოფლის ინფორმირებულობა კრებასთან დაკავშირებით რაც გზირს ევალებოდა და აუცილებლობას წარმოადგენდა ოჯახიდან ერთი ადამიანის დასწრება. კრება წყვეტდა როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამეურნეო საკითხებს. მამასახლისის გასამრჯელოს შეადგენდა მცირე საზღაური გლეხებისგან, რომელსაც იღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ბეჭდით უხდებოდა ინფორმაციის ან ცნობის დამოწმება. მნიშვნელოვანია, რომ კრებას ევალებოდა თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი, რაც ამცირებდა საჯარო ძალაუფლების პირადი სარგებლისათვის გამოყენების საშუალებებს ან გადამეტების შემთხვევებს. ყრილობა ხშირად ითავსებდა სასამართლოს ფუნქციასაც და წყვეტდა ნაკლებად მძიმე დანაშაულებების საკითხს. სასჯელად გამოჰქონდათ როგორც

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ასევე მცირე ფულადი ჯარიმები. მოსამართლეებსაც სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა ირჩევდა სამი წლის ვადით, მამასახლისს კი აკრძალული ჰქონდა მათ საქმიანობაში ჩარევა. სოფლის ყრილობა ითვალისწინებდა მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას, გამჭვირვალობას, საზოგადოებრივ საჭიროებებსა და საერთო ინტერესებზე ორიენტირებულობას, ეს კი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენდა. რაც მთავარია ამგავარი გაერთიანებები უზრუნველყოფდა მის სამოქმედო ადმისტრაციულ ერთეულში ყოფითი ტიპის საკითხების მოგვარებას, რაც საერთო ჯამში სახელმწიფოს მმართველობის თვალსაზრისით შესანიშნავ შედეგს იძლეოდა და ამით არ ხდებოდა ცენტრალიზებული მმართველობის უხეში დარღვევა.[4]

,,კანონით ნება დართული სოფლის ერთათ შეკრება თავის ჭირ-ვარამზედ მოსალაპარაკებლათ, ერთი საუკეთესო მუხლია მეცხრამეტე საუკუნის კანონმდებლობისა... რა იქნება ამაზედ კარგი, კვირა უქმე დღეს შეიკრიბოს ერთათ სოფელი, გაუზიარონ ერთმანეთს ჭირ-ვარამი, სხვა და სხვა აზრის მოსმენით იპოვონ გზა, რომელიც სოფელს წაიყვანს საუკეთესო მომავლისკენ. ნათქვამია ერთის ჭკუა კარგია, ორისა კი – სჯობიაო. ცხოვრება გართულდა, მეტს უნარს და დაკვირვებას ითხოვს. ამისთვის დროა და დიდათ საჭიროა, ჩვენმა სოფლებმაც თავის საქმეები საზოგადო ყრილობაზედ დინჯის მოფიქრებით და მსჯელობით აწარმოვოს“ – ვკითხულობთ „სახალხო გაზეთში”.[7]

გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა საქართველოში XIX-XX საუკუნეებში ფუნქციონირებდა სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი გაერთიენებები. აღნიშნულმა გაერთიანებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. თითოეული მათგანი ცალ–ცალკე და საერთო ჯამში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ასევე ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის საქმეში, რადგან სახელმწიფოს პოლიტიკური მდგრადობა დაფუძნებულია ეკონომიკურ თუ კულტურულ მდგრადობაზე.

4.2. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ქმედითი ღონისძიებები პოსტსაბჭოთა საქართველოში

ნებისმიერ სახელმწიფოში, როცა ადგილი აქვს გარდამავალ პროცესებს, რაც საქართველოს მაგალითზე გულისხმობს „დანიშვნითი“ ტიპის მმართველობიდან „არჩევითი“ ტიპის მმართველობაზე გადასვლას ცვლილებების ერთ-ერთ ძირითად მიზანს მყარ და რეალურ თვითმმართველობაზე დამყარებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩამოყალიბებული კომუნისტური სისტემა ადამიანებს საჯარო სივრცეში დამოუკიდებელი ინიციატივის გაჩენის ნაკლებ შანსს აძლევდა. ამ დროსაც არსებობდა სამოქალაქო საზოგადოებები (პროფკავშირები, კომკავშირი, მშვიდობის კომიტეტი და ა.შ), მაგრამ ისინი დემოკრატიულ ქვეყანაში არსებული სამოქალაქო საზოგადოების იმიტაციას წარმოადგენდა, ვერ აკმაყოფილებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ელემენტარულ კრიტერიუმებს - ნებაყოფილობითობას და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას.

საბჭოთა ქვეყნებში საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტები გათანაბრებული, ანუ გაერთიანეული იყო. ამ პერიოდში წაიშალა კერძო საკუთრება და ყველაფერმა სახელმწიფოს ხელში მოიყარა თავი. სახელმწიფო კი მიღებულ პროდუქციას „თანაბრად“ ანაწილებდა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ასეთმა გათანაბრებამ წარმოშვა საბჭოთა პერიოდის სხვადასხვა გაერთიანებები ე.წ. პროფესიული კავშირები. პროფესიული კავშირები (პროფკავშირები) ანუ მოსამსახურეთა ასოციაცია და მისი მთავარი მიზანი იყო წარმოედგინა მოსამსახურეთა უფლებები დამსაქმებელთა წინაშე. საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დროს

არსებელი პროფკავშირები იქმნებოდა სახელმწიფო სტრუქტურების და პოლიტიკური ელიტის მიერ და აბსოლიტურად მის დაქვემდებარებაში იყო. ამ ისტორიული რეალობის შედეგად, საზოგადოების ნაწილი ნეგატიურად არის განწყობილი და მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყეს მათი პოზიტიური როლის აღიარება.[21]

ამრიგად საქართველოს საბჭოთა პერიოდში გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა საზოგადოებრივი გაერთიანებების თვალსაზრისით. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების დანიშნულება რასაკვირველია სცილდება საბჭოთა პროფკავშირების სისტემას, მაგრამ აქ მთავარი და სამაგისტრო თემისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებრივი გაერთიანებების ისტორია საქართველოსათვის ახალი არ გახლავთ.

საბჭოთა კავშირისა დაშლის, ასევე თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი მზარდი ინტერესისა და ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოების მშენებლობების შედეგად სამოქალაქო საზოგადოების იდეა განსაკუთრებით გახდა აქტუალური. დემოკრატიული საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისთვის ერთ დროს თითქოს ბოლომდე პასუხგაცემული და ამოწურული თემატიკა მოქალაქეობის, სამოქალაქო საზოგადოების, მისი ფუნქციებისა და როლის შესახებ კვლავ მთელი აქტუალობით და ახალი სიმწვავით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება. ხმამაღლა გაცხადებულმა მისწრაფებამ შეექმნათ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოები არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და უზრუნველყოფა, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრება და გამყარება, აქტიური და მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის ელემენტების დანერგვა, პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული, ასევე დამოუკიდებელი სასამართლო სისტემების ჩამოყალიბება – ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ გამოწვევებისა, რომლის წინაშეც ახლადშექმნილი სახელმწიფოები (პოსტსაბჭოთა ქვეყნები) აღმოჩნდნენ.[8]

პრობლემათა მოცემულ ჩამონათვალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამოქალაქო საზოგადოებისა და **აქტიური მოქალაქის** შექმნის თემატიკა.

დამოუკიდებლობის შემდეგ 1992 წლიდან დაწყებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარება არასამთავრობო ორგანიზაციების მომძლავრების გზით ხდებოდა.

საზოგადოების განვითარების დღევანდელი დონის, ადამიანის მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილების თანაფარდობის პირობებში, მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხერხდება მხოლოდ სახელმწიფოსა და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მეშვეობით. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია, ხოლო საქართველოში ბოლო პერიოდში იწყებს განვითარებას არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციები. ყოველდღიურად იზრდება მათი როლი და მნიშვნელობა ჩვენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, მათ უშუალო მიზანს არ წარმოადგენს სახელმწიფო საქმიანობაში პოლიტიკური მონაწილეობა. მათი ძირითადი ამოცანა მათივე წევრების ინტერესების დაკმაყოფილებაში გამოიხატება. ამ მიმართულებით საქმიანობისას ისინი აქტიურად ზემოქმედებენ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე. ეს ზემოქმედება კარგად ჩანს იმ როლიდან, რომელსაც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ.[2]

ამრიგად, საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას, მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი სამოქალაქო ისტორია აქვს. ჩვენ დავინახეთ ჯერ კიდევ რამოდენიმე ათეული წლის წინ როგორი ტიპის გაერთიანებები იყო საქართველოში, შემდეგ საბჭოთა სისტემაში რა ტიპის გაერთიანებებთან გვაქვს საქმე და საბოლოო ჯამში თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებამ როგორი სახე მიიღო. წესითა და რიგით წარსული შესანიშნავი საფუძველია მოვლენების თანამედროვედ განვითარებისა, ჩვენს შემთხვევაში თანამედროვე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას გასდევს წარსულის კვალი. უფრო მეტიც საბჭოთა პერიოდის გაერთიანებებმა, კოლექტირუმა საზოგადოებებმა, ინფორმაციული ვაკუუმი შექმნა თანამედროვე განვითარებისათვის. ეს იმას ნიშნავს რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

თავი V სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთკავშირი მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით

სახელმწიფო საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა,რომელიც განპირობებულია რიგი კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კლიმატური, გეოგრაფიული, რელიგიური და სხვა ფაქტორებით.

სახელმწიფო არსებობს საზოგადოებისათვის, თვით საზოგადოება არასდროსაა სრულიად ერთგვაროვანი - იგი ყოველთვის შედგება ერთმანეთისაგან განსხვავებული ერთობებისაგან, ჯგუფებისაგან, რომლებსაც სხვადასხვა მიზნები და ღირებულებები გააჩნიათ. ამიტომ სახელმწიფოს, ხელისუფლების სახით, სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით უხდება ამ წინააღმდეგობათა გადალახვა და განსხვავებული სეგმენტებისაგან მეტ–ნაკლებად ერთგვაროვანი პოლიტიკური და სამოქალაქო სულისკვეთების მქონე ორგანიზმის ჩამოყალიბება.

ადამიანთა საერთო ინტერესებსა და ამოცანებზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ერთობას განამტკიცებს საერთო ღირებულებები. სწორედ მათი წყალობით ურთიერთობენ და ინარჩუნებენ ერთობას ადამიანები.

საზოგადოება უფლებამოსილია, პასუხი მოსთხოვოს მმართველებს მათ ნამოქმედარზე. მოთხოვნის საფუძველს ის გარემოება განაპირობებს, რომ საზოგადოების წევრები სახელმწიფოსთან და ხელისუფლებასთან სამართლებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან და ასეთი კანონისმიერი სამართლებრივი კავშირი მოქალაქეობის ინსტიტუტს წარმოშობს, რაც მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებაში სრულად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობის რეალიზებას. ამდენად, ადამიანს, რომელიც ასეთ კავშირში იმყოფება სახელმწიფოსთან, ანუ მოქალაქეს, უფლება აქვს ხელისუფლებას მის ქმედებაზე პასუხი სრულად მოსთხოვოს.

5.1. სახელმწიფო პოლიტიკა და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი

სახელმწიფო თავისი ადრეკლასობრივი ფორმირებიდან მოყოლობული დღემდე ახორციელებს სახელწიფო პოლიტიკას, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმითა და სტრუქტურით გამოირჩევა. თითოეული ეპოქა მეტად საინტერესო მასალას გვაძლევს სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების შესახებ და თითეულმა მათგანმა განაპირობა მომდევნო პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბება და დამკვიდრება.

სახელმწიფოს განვითარებისთვის საჭიროა მასში არსებულმა საზოგადოებებმა შექმნანა არა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივად სასარგებლო დოვლათი, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვარი დაუტოვოს კაცობრიობას, მას უნდა მიეცეს უპირველეს ყოვლისა თავისუფალ და პოლიტიკურად სწორად ორენტირებულ

სახელმწიფოში თავისუფლად არსებობისა და განვითარების საშუალება. საქართველოს კონსტიტუციის მე–16 მუხლიც სწორედ ამაზე მეტყველებს:

„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“[17]

საამისოდ ყველაზე მყარ გარანტიას დემოკრატიული მმართველობა იძლევა. დემოკრატია დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის უშუალო მონაწილეობაზე, პერიოდულ არჩევნებზე და სხვა დემოკრატიულ ღირებულებებზე.

უინსტონ ჩერჩილმა აღნიშნა: „იმიტომაა დემოკრატია საუკეთესო ფორმა მმართველობისა, რომ ამაზე უკეთესი ჯერ არაფერი არ გამოგონილა“. მიუხედავად ამისა ცხადია, რომ ეს პოლიტიკური ფორმა იძლევა საზოგადოების, სოციუმის განვითარების ყველაზე უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე რასაკვირველია მძიმე პოლიტიკური რეჟიმები.

დემოკრატიის თეორიული სათავეები ძველბერძნული აზროვნებიდან იწყება. სიტყვა დემოკრატიაც ბერძნული წარმოშობისაა და ორი სიტყვისაგან შედგება. „demos“ ხალხს ნიშნავს, „kratos“ ძალაუფლებას, სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასში ხალხის ძალაუფლება იგულისხმება. დემოკრატიის უმთავრესი პრინციპის თანახმად, ხელისუფლება მართვა-გამგეობას ხალხის თანხმობით უნდა ახორციელებდეს. დემოკრატიის თეორიამ განვითარების გრძელი და მეტად საინტერესო გზა განვლო. მის შესახებ ჯერ კიდევ სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვები მსჯელობდნენ.

პოლიტიკური რეჟიმი სახელმწიფოს ფორმის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. რეჟიმის ქვეშ იგულისხმება იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოები ხელისუფლებას განახორციელებენ. ამასთან, პოლიტიკური რეჟიმი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი, ზოგადად საზოგადოებრივი მიზნების განხორციელების ორგანიზაციულ საშუალებას.

რამდენადაც პოლიტიკური რეჟიმი დაკავშირებულია სახელმწიფოს ფორმასთან, შესაბამისად, მრავალფეროვანია სახელმწიფო (პოლიტიკური) რეჟიმის სახეებიც. ეს სიმრავლე დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფოს განვითარების თითოეულ ისტორიულ ეტაპს შეესაბამება თავისი პოლიტიკური რეჟიმი. ერთი და იგივე ისტორიული

ტიპის სახელმწიფოების შიგნითაც პოლიტიკური რეჟიმები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.[12]

ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ **დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული სახელმწიფო (პოლიტიკური) რეჟიმი**.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების ფორმირებაში ხალხის რეალური მონაწილეობა, მოქალაქეთა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მათი განხორციელების რეალური კონსტიტუციური გარანტიების არსებობა.

ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი, რასაკვირველია საპირისპიროდ გამოიყურება. უპირველეს ყოვლისა, მისთვის დამახასიათებელია ერთი პარტიის არსებობა. ასეთი პარტიის იდეოლოგია წარმოადგენს ერთადერთ ოფიციალურ და მისაღებ იდეოლოგიას. ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი სამართლით შეუზღუდავი ხელისუფლების პოლიტიკური რეჟიმია. ამ დროს არ არსებობს პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები ან მათი განხორციელების რეალური საკანონმდებლო გარანტიები. როგორც დემოკრატიული, ასევე ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმიც ხასიათდება სახეთა მრავალფეროვნებით.

შეიძლება მოვახდინოთ პოლიტიკური რეჟიმის სხვა, ასევე ზოგადი კლასიფიკაცია:

- დემოკრატიული
- ლიბერალური
- ავტორიტარული
- ტოტალიტარული

საქართველოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს ის კონსტიტუციურ-სამართლებრივი დახასიათება, რომელსაც აძლევს ძირითადი კანონი ჩვენს სახელმწიფოს. საქართველოს კონსტიტუციის I მუხლის „2“ პუნქტის მიხედვით:

„საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ [17]

სახელმწიფოს კონსტიტუციური დახასიათება, როგორც დემოკრატიულისა, რასაკვირველია, ნიშნავს იმ გარანტიის არსებობას, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შესაძლებლობას ანიჭებს ყველა მოქალაქესა და მის გაერთიანებას მათი კანონიერი სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის მონაწილეობდნენ და ზეგავლენას ახდენდნენ სახელმწიფოს მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებებზე.

დემოკრატია შეიძლება იყოს სახელმწიფო რეჟიმის საზომი მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელიც წარმომადგენლობით მმართველობის სისტემას ეყრდნობა, სადაც ხელისუფლების წყაროს - ხალხს, შესაძლებლობა აქვს წარმომადგენლობის პერიოდული განახლებისა. ამასთან, პიროვნებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების უფლებები გარანტირებულია კანონის უზენაესობით.

ჩვენი აზრით საქართველომ უნდა შეძლოს შეინარჩუნოს ეროვნული, კულტურული, ტრადიციული მემკვიდრეობა და აი ამ საინტერესო ცივილიზაციის ჭრილში მოახდინოს დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა. თანამედროვე ეპოქაში არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ ყველა სახელმწიფოსათვის მთავარი თემა მშვიდობის უზრუნველყოფაა. საქართველოს შემთხვევაში უზრუნველყოფას შენარჩუნებაც ემატება და არა მხოლოდ მშვიდობისა, არამედ თვითმყოფადობისა და ეროვნულობისა. ამდენად სამოქალაქო საზოგადოება არ უნდა პასუხობდეს მხოლოდ დასავლურ თუ აღმოსავლურ გამოწვევებს. ქართული სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს ურთიერთშეზავებული კონსისტენცია უახლესი გამოწვევისა ეროვნულ გამოწვევებთან.

5.2. მოქალაქეთა ჩართულობის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო პოლიტიკაში

„ამიხსნი დამავიწყდება.

მაჩვენებ, გავიხსენებ.

მიმაღებინებ მონაწილეობას, გავიგებ!“

ჩინური სიბრძნე

დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს დიდი როლი აქვთ და სწორედ დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა წარმოადგენს. თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ეკუთვნის საზოგადოებას. საზოგადოებრივი ჩართულობა კი მოქალაქეებს აძლევს საშუალებას ისარგებლონ სახელმწიფოში დაგროვილი კეთილდღეობიდან მათთვის კუთვნილი წილით.

ევროპაში აღიარებული მართვის მოდელია წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომელიც დამყარებულია შემდეგ პრინციპზე – **ხალხის მიერ არჩეული პირები არიან ხალხის ინტერესების წარმომადგენლები.** მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებებების მიღების პროცესში შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- საჯარო დებატები;
- საჯარო შეხვედრები;
- წინასაარჩევნო კამპანიები;
- გამოკითხვები;
- პეტიციები და ინიციატივები;
- რეფერენდუმში მინაწილეობა და სხვა.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად მრავალი გამოცდილი მეთოდი არსებობს, რომელთა მისადაგება ყოველთვისაა შესაძლებელი კონკრეტულ სიტუაციებთან და მათი ეფექტური გამოყენება აახლოებს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს, რაც პოლიტიკის ფორმირებისათვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.[18]

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი – რაიონის, თემის, სოფლის გარშემო არსებული საკითხების გადაწყვეტილების პროცესში დემოკრატიის განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველია, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობა უფრო მეტად არის ხელისუფლება ხალხისთვის და ხალხის მიერ, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია (OECD) მიიჩნევს, რომ ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობას სხვადასხვა გამოვლინება გააჩნია და მოიცავს რამდენიმე ელემენტს:

- **ინფორმირება** – ცალმხრივი ურთიერთობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური ასევე პაიური გზით. პასიური ინფორმირების დროს მოქალაქეს ინფორმაცია მიეწოდება მოთხოვნის შემდეგ, აქტიურია როდესაც ხელისუფლების ორგანოები თავად ავრცელებენ ინფორმაციას, მაგალითად პროაქტიული გამოქვეყნება.
- **კონსულტაციები**-ხელისუფლებისა და საზოგადოების ორმხრივი კავშირია, სადაც საბოლოო გადაწყვეტილებას ხელისუფლება იღებს. მოქალაქეები ხელისუფლების საქმიანობას წინასწარ ან შემდგომ აფასებენ. ამ ტიპის ურთიერთობების მაგალითს წარმოადგენს კომენტარები საკანონმდებლო პროექტებზე, ბიუჯეტის განხილვასა და საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე და ა.შ.
- **აქტიური მონაწილეობა** - ურთიერთობაზე დაფუძნებული მონაწილეობა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, როდესაც მოქალაქეები აქტიურ როლს თამაშობენ და უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.საბოლოო გადაწყვეტილებას ხელისუფლების ორგანოები იღებენ, თუმცა მოქალაქეები აწვდიან ინფორმაცის ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით. [13]

დიაგრამა N1 – მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები





ინფორმირება



კონსულტაცია



აქტიური მონწილეობა

მოქალაქეთა მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაციამ (International Association for Public Participation, IAP2) ჩამოაყალიბა მონაწილეობის ძირითადი ღირებულებები, ესენია :

- ✓ მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტურობას განსაზღვრავს მათი რწმენა, რომ აქვთ უფლება იყვნენ ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ✓ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იმის დაპირება, რომ შეძლებისდაგვარად მათი მოსაზრებები და გაღებული წვლილი მოახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
- ✓ ისეთი საზოგადოებრივი მონაწილეობა, სადაც მოქალაქეთა საჭიროება და ინტერესები იქნება აღიარებული და გათვალისწინებული უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სტაბილურობას.
- ✓ ეფექტური მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესი საჭიროებს საზოგადოებისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებას, რადგან მათ მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება.
- ✓ საზოგადოების მონაწილეობის ფარგლებში მოქალაქეებს მიეწოდება ინფორმაცია, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მათი მოსაზრება. როდესაც ეს პროცესი ხორციელდება გააზრებულად, პროცესში ჩართული ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღწევა.[13]

ჩვენი აზრით ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ღირებულების გამოყენება ხელს შეუწყობს მონაწილეობის ზრდას, რაც უზრუნველყოფს უკეთესი შედეგების მიღწევას და მმართველობის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა გადამწყვეტ როლს შეიძლება ასრულებდეს. თვითმმართველობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიის შემუშავების პროცესი კომპლექსურია და არაერთი ეტაპისაგან შედგება.

დიაგრამა N2 – ჩართულობის შესაძლებლობები



1. **საკითხის დღის წესრიგში შეტანა** - ამ ეტაპზე ადგილობრივი ორგანო იხილავს მნიშვნელოვან საკითხებს და მსჯელობს მათ პრიორიტეტულობაზე. მოქალაქეების მოსაზრებების მხედველობაში მიღება და გათვალისწინება ნიშნავს საზოგადოების

საჭიროებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას.ამ ეტაპზე საჭიროა თითოეული საკითხის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2. დაგეგმვა და პროექტის მომზადება - პროექტის შემუშავება და დაგეგმვა ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების წინასწარი ეტაპია. პროექტის მომზადებისას მოქალაქეები საკითხის ჩამოყალიბებაში არიან ჩართული და პროექტის არაერთი ალტერნატივა შეიძლება შემუშავდეს;

3. საკითხის დარეგულირება და გადაწყვეტა - ამ ეტაპზე შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცოს ესა თუ ის გეგმა.

4. განხორციელება - როდესაც თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები ახორციელებენ შემუშავებულ გეგმას.

5. მონიტორინგი - თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელებას საზოგადოება დიდი ინტერესით ეკიდება. მაღალი აქტიურობის დროს მოქალაქეები შედეგების მონიტორინგით, მოხსენებებისა და ანგარიშების მოსმენით არიან დაკავებულები.

6. შეფასება და შესწორება - შეფასების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მათი მხრიდან კონკრეტული შეთავაზებების და ცვლილებების მიღებას ნიშნავს. რაც, შესაბამისად, შესწორების საფუძველიც შეიძლება გახდეს. შეფასების დროს აუცილებელია გარკვეულ კითხვებზე ზუსტი პასუხის მიღება: გვარდება თუ არა პრობლემა? რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას პოლიტიკის ეფექტიანობისადმი? რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს გეგმას? როგორ შეიძლება ძლიერი მხარეების გამოყენება და სუსტის გამოსწორება? [13]

5.3. მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიის თეორიის და პრაქტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი იძენს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კერძოდ კი თვითმმართველობებთან მიმართებაში. შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის საყრდენია. მსოფლიო პრაქტიკაში მონაწილეობის და ჩართულობის ბევრი განსხვავებული მექანიზმი არსებობს, როგორც საკანონმდებლო ასევე ტრადიციებისა და სამოქალაქო კულტურის დონეზე. ამ მექანიზმების გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობა. ბუნებრივია, ეს საკითხი აქტუალურია საქართველოსთვისაც.

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ადგილობრივ თვითმმართველობას განმარტავს, როგორც ,,ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“[18]

ხელისუფლების უფლებამოსილების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის თავდაპირველად ატარებდა იმ მიზანს, რაც გულისხმობს ხელისუფლებისა და ხალხის დაახლოებას, რადგან ცენტრალური ხელისუფლება თავმოყრილია ერთ ცენტრში, ხოლო პერიფერიებს ვერ მოიცავს. შესაბამისად როცა ცენტრალური ხელისუფლება სამოქმედო პოლიტიკას ადგენს, ის ვერ ითვალისწინებს ყველას ინტერესებს, რადგან ცენტრალურ ხელისფლებას არ აქვს წვდომა ყველასთან. შესაბამისად გახდა საჭირო სახელისუფლებლო ძალაუფლების პერიფერიებში გადატანა ცენტრიდან, ამისთვის შეიქმნა ადგილობრივი, ლოკალური ხელისუფლებები.

ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი ნიშა კი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხთან ახლოს იყოს და იცოდეს მათ წინაშე არსებული პრობლემები და ამ პრობლემის მოგვარების გზები ეძიოს.

ჩვენი აზრით ის, რაც შეიძლება გააკეთოს კონკრეტულმა პიროვნებამ საკუთარი ძალებით, არ უნდა გადაეცეს ხელისუფლებას, ასევე მიგვაჩნია, რომ მაღალ საფეხურზე მდგომ ხელისუფლებას არ უნდა დაეკისროს იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც შეუძლია უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ სახელისუფლებო ორგანოს. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლებას.

საქართველო სახელმწიფოებრივი განვითარების სრულსყოფილების მიზნით შეუერთდა იმ საერთაშორისო პაქტებსა და ქარტიებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ბაზა შექმნეს ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. ,,ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპის საბჭომ 1985 წელს მიიღო. ქარტიის შექმნა განაპირობა მოქალაქეთა უფლებამ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების მართვაში. ადამიანები მეტ ყურადღებას იჩენენ იმ ადგილის მიმართ, სადაც ცხოვრობენ. [6]

ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაზე მეტად აქტიური რგოლია სახელმწიფო მართვაში საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტებს დამოუკიდებლად ბევრი საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა შეუძლია, მაგრამ ასევე მისი ფუნქცია ცენტრალური ხელისუფლების ინფორმირებულობა. მან უნდა მიაწოდოს ადგილობრივი პრობლემები ცენტრს. სწრედ ამიტომ მეტად მნშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებების არსებობა და მათი მუშაობა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში.

5.4.საქართველში ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო მონაწილეობის ინსტრუმენტების მიმოხილვა

სამოქალაქო მონაწილეობა ეს არის მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთქმედების პროცესი, რომელიც ემყარება საზოგადოებასა და სახელმწიფოს შემდგომი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებას.

სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები იყოფა:

1. **ფორმალური** – კანონებში ან სპეციალურ სახელმწიფო პროგრამებში გაწერილი;
2. **არაფორმალური** – ყველა სხვა პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ინიციატივით.

✓ **მოქალაქეთა ფორმალური თანამონაწილეობა საქართველოში**

საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება, აქტიურად იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარანტირებულია საქართველო კონსტიტუციის მე-5 მუხლით, სადაც წერია, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი (პუნქტი 1) და თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (პუნქტი 2). ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი ნორმები მოცემულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიაში“ ხოლო რაც შეეხება დამატებით მექანიზმებს, ისინი წარმოდგენილია მაგალითად საკრებულოს დებულებებით (რეგლამენტებით).

საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება ინფორმირებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით (პუნქტი 1) და სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.[17]

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, აგრეთვე, ინფორმაციის თავისუფლებისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის საჯაროობის საკითხებს. კოდექსის მიზანია, უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. [19]

კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განიხილავს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოებისადმი წამოყენებული მოთხოვნები სრულად ვრცელდება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზე. მოსახლეობის ინფორმირებულობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, კოდექსი ასევე აწესებს სპეციალურ მოთხოვნებს კოლეგიური საჯარო დაწესებულების (ასეთია, მაგალითად, საკრებულო) სხდომებთან დაკავშირებით. კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე, მისი დახურვის შესახებ“.[19]

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014 წლის 5 თებერვალს მიიღეს. იგი არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, ხელისუფლების ორგანოებთან, აგრეთვე, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესებს.

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” შეიცავს სპეციალურ ნაწილს, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკაზე (კარი IV მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში) ამ კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

კანონის თანახმად გათვალისწინებულია მონაწილეობის შემდეგი ფორმები:

- ✓ **პეტიცია** - პეტიცია არის მოქალაქეების შესაძლებლობა მიმართონ ადგილობრივი ხელისუფლებას. აღნიშნულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს უნდა მიმართოს მის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-მა ან დასახლების საერთო კრებამ. დაშვებულია ასევე პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი, რაც კიდევ უფრო ამარტივებს და კომუნიკაბელურს ხდის საჯარო სექტროსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს.
- ✓ **დასახლების საერთო კრება** – დასახლების საერთო კრება არის სოფლის, დაბის და ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის მიერ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და შესაბამისი ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.კრება უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები.

- ✓ **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, მის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.
- ✓ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიების სხდომებში მონაწილეობა.** მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხდომებს.
- ✓ **მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრების მოხსენებების მოსმენა.** მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.

- ✓ **მოქალაქეთა არაფორმალური (ნებაყოფილობითი)თანამონაწილეობა**

ზემოთ ჩამოთვლილი მონაწილეობის ფორმების გარდა მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს სხვა ჩართულობის ფორმები და მოახდინოს მათი რეგლამენტაცია.

ეს ფორმებია:

ღია კარის სხდომები - როდესაც პერიოდულად ხდება მოსმენა მოქალაქეთა მოსაზრებებისა მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ეს ხელს უწყობს მოქალაქეთა გააქტიურებას და მათ საშუალებას აძლევს საკრებულოსა და თვითმმართველობის ორგანოთა თანამდებობის პირებს გააცნონ არსებული პრობლემები, აგრეთვე, გამოთქვან მოსაზრებები ამ პრობლემათა მოგვარების შესახებ.

საკრებულოს გასვლითი სხდომები - როცა საკრებულო თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მართავს დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხდომებს, რაც საშუალებას აძლევს ამ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა - ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ფორმებს: დასახლების საერთო კრება, მოსახლეობის გამოკითხვა და ა.შ.[11]

თვითმმართველობის განხორციელების დროს, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებს მნიშვნელოვნად აფართოებს თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული **საჯაროობის, საქვეყნოობის, კოლეგიურობისა და ანგარიშვალდებულობის პრინციპები.**

საქვეყნოობისა და საჯაროობის პრინციპი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა სისტემატურ ინფორმირებულობას გულისხმობს. საქვეყნოობის პრინციპი მოიცავს მოქალაქეთა უფლებას, ფლობდნენ ინფორმაციას თვითმმართველობის ორგანოთა სხდომებზე განსახილველ საკითხებზე, დაესწრონ სხდომებს, გაეცნონ განსახილველ საკითხებს, მიეცეთ საკმარისი დრო, წარადგინონ მოსაზრებები და წინადადებები. ასეთ უფლებათა კატალოგმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ქმედითი მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა.

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კოლეგიურობის საფუძველი მისი ფორმირების წესია. საკრებულოს თითოეული წევრი წარმოადგენს კონკრეტულ ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფს – გამოხატავს და იცავს მათ ინტერესებს. შესაბამისად, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს მხოლოდ მოქალაქეებთან კომუნიკაციის შემდეგ შეუძლია მათი ინტერესების წარდგენა.

თვითმმართველობის ორგანოების მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს ურთიერთკავშირი და დიალოგი. აღნიშნული მოიცავს მოქალაქეთა უფლებას, მოისმინონ, განიხილონ და შეაფასონ თვითმმართველობის ორგანოთა თუ თანამდებობის პირთა ანგარიშები. [11]

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობა იწყება არჩევნებში მონაწილეობით და გრძელდება მათ მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ჩართულობით და მოქალაქეთა ნების დაფიქსირებით.

ამრიგად, სახელმწიფოს მართვა არ განიხილება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მართველობად. სახელმწიფო თავის სტრუქტურით რთული წარმონაქმნია და მოიცავს ტერიტორიული დანაწილების განსაკუთრებულ ფორმებს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო მართვის სწორ დეცენტრალიზაციასა და მართვის პროცესის გამარტივებას. ყოველივე ეს კი ემსახურება საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებასა და მუდმივ ინფორმირებულობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული მიდგომები საჯარო მმართველობის მთავარი სტრატეგიაა და აძლევს საშუალებას ადამიანს პირდაპირ თუ ირიბად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობას კი განსაზღვრავს ადგილობრივი საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და ეფექტური ღონისძიებების გატარება რეგიონალური საჭრიოებებიდან გამომდინარე.

თავი VI განათლება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი

საკვლევი თემის ძირითადი პრობლემა, საზოგადოების ჩართულობის დაბალი დონე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ბერკეტი არსებობს მონაწილეობის სრულყოფისათვის ქვეყნის ერთგვარ გამოწვევად რჩება ეფექტური, მაშტაბური თანამონაწილეობის მიღწევა. დაინტერესების შემთხვევაში ადამიანებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს იმის არ ცოდნა როგორ დაიწყონ პროცესი.

დემოკრატიულ მოქალაქეებად არ იბადებიან, ასეთებად ყალიბდებიან. კარგ მოქალაქედ, კარგ პიროვნებად ჩამოყალიბება მიიღწევა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით, რომელშიც განუხრელად დიდი წვლილი მიუძღვის ისეთ სოციალურ ინსტიტუტს, როგორიცაა სკოლა. დემოკრატიული მმართველობა თითოეული მოქალაქისაგან მოითხოვს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მოქალაქეებმა უნდა გააცნობიერონ , რომ თვითონ არიან ყველა პროცესის აქტიური მონაწილე და ბევრია დამოკიდებული მათ მოქმედებაზე.

განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების ღირსეულ მოქალაქედ, საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება ამისთვის კი ეფექტურ გზად მიმაჩნია სამოქალაქო განათლების სწავლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პოლიტიკა. ამასთანავე თითოეული მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს მის როლს მოზარდის განვითარებაში და კონკრეტული საგნის სწავლებასთან ერთად უზრუნველყოფდეს მოსწავლეებს განუვითაროს სწორი ღირებულებები და ასწავლოს მათი უფლებები მოვალეობებთან ერთად, რადგან უფლება არ არსებობს მოვალეობის გარეშე და მოვალეობების შესრულებით სხვის უფლებებაც დავიცავთ. ვფიქრობთ, დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ სხვისი აზრი უნდა მოისმინო და, საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინო.

თითოეული მოქალაქის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე, შესაბამისად, მოქალაქედ აღზრდის პასუხისმგებლობა არ უნდა იქნეს მინდობილი მხოლოდ მშობლებზე, რადგან შესაძლოა მშობლები თავად არ იყვნენ აქტიური მოქალაქეები. სამოქალაქო განათლება დემოკრატიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო ცნობიერებასთან, ეს ცნობიერება განმსაზღვრელია მოქალაქეთა ჩართულობისა. ვერ ვაიძულებთ ადამიანი იყოს აქტიური მოქალაქე, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ჩაერთოს სხვადა სხვა სახის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწორედ ეს უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო განათლების მიღებამ, ანუ მოქალაქის თვითშეგნებამდე უნდა მივიდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი როლი სახელმწიფო მართვაში და საბოლოოდ ხელი შეუწყოს დემოკრატიული სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებას. მოქალაქეობრივი აქტიურობა, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება და პოლიტიკური კულტურის გააზრება სკოლიდანვე უნდა იწყებოდეს, რათა სამომავლოდ სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას შეეწყოს ხელი.[8]

სამოქალაქო განათლება საფუძველს უყრის ისეთი მოქალაქის აღზრდას, რომელმაც იცის: მოქალაქეობრივი უფლებები და მოვალეობები, , პატივისცემით მოეკიდოს როგორც საკუთარ, ისე სხვის აზრს, აცნობიერებს დემოკრატიის არსს და შეუძლია

სახელმწიფოებრივად აზროვნენა.

დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა, განხორციელებული თავად ხალხის მიერ და ხალხისთვის. დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საფუძველს თავისუფალი მოქალაქეები წარმოადგენენ, რომლებსაც საკუთარ უფლებებთან ერთად, ვალდებულებებიც გააზრებული აქვთ და აქტიურად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოქალაქეობა ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის კონსტიტუციური განსაზღვრება საზოაგდოებასა და სახელმწიფოში პიროვნების როლისა და მდგომარეობის აღიარებას მოიცავს. საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის კონსტიტუციონალიზაცია მისი სახელმწიფოსთან ურთიერთკავშირის ხასიათისა და ბუნების განმსაზღვრელია. ეს კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მყარი და ეფექტური თუ მოქალაქეს გააჩნია მაღალი საზოგადოებრივი შეგნება და ის უნარჩვევები, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის. სწორედ აქ იჩენს თავს სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი ქმედითი სისტემა პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში. [20]

თავი VII კვლევა და კვლევის შედეგები

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა, როგორც წინა თავებში მიმოვიხილეთ, მეტად სოციალური ხასიათისაა და მოიცავს საკითხთა ერთობლიობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მმართველობით სისტემაში საზოგადოების ჩართულობის დონესა და ხარისხსს. თეორიული ლიტერატურის დამუშავებით მთელ რიგ საკითხებზე მსჯელობამ შესაძლებელი გახადა გაკეთებულიყო გარკვეული დასკვნები, კერძოდ თუ როგორ ვითარდებოდა საზოგადოება საქართველში, რა დონეზეა მოწესრიგებული სახელმწიფო

სტრუქტურებში საჯაროობის პრინციპი, რა ფორმებით არის ჩართული ხალხი სახელმწიფო მართვაში და ა.შ.

ნაშრომში დასმული პრობლემების უკეთ გაანალიზებისა და წარმოჩენის მიზნით, გარდა თეორიული სახის კვლევისა, ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური საზოგადოებრივი აზრის კვლევა. კვლევის შედეგების შეჯამების შემდეგ ჩამოყალიბებული იქნა რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას.

კითხვარი შედგებოდა 10 კითხვისაგან, რომელთა ნაწილი მოითხოვდა მითებული პასუხებისაგან კონკრეტულის ამორჩევას, ხოლო ნაწილი რესპოდენტის მხრიდან შინაარსობრივად პასუხის გაცემას. აღნიშნული მეთოდით გამოკითხულ საზოგადოებას მიეცათ საშუალება თავისუფლად დაეფიქსირებინათ მათთვის სასურველი პასუხები და არა მხოლოდ ავტორის მიერ შეთავაზებული.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 103 სრულწლოვანმა რესპოდენტმა, რომელთა ვინაობა უცნობია, რადგან გამოკითხვის დროს უფრო თამამად გაეცათ პასუხი კითხვებზე.

პირველი კითხვაზე - **რას ნიშნავს თქვენთვის სამოქალაქო საზოგადოება?** გაცემული იქნა შემდეგი პასუხები:

- ✓ *ქვეყნის მართვაში ჩართულ აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფს, რომელთაც აკისრიათ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე, ასევე ქვეყნის პატრიოტ მოქალაქეებს;*
- ✓ *მოქალაქეთა ერთობლიობას, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ მათ შეუძლიათ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთონ და მოახდინონ მასზე გავლენა, მაგალითად არჩევნების გზით, რომელიც მიმართულია დემოკრატიის განსავითარებლად;*
- ✓ *სახელმწიფოში არსებულ ასე ვთქვათ ინსტიტუტს, რომელიც ასევე მოიცავს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს,რომელიც ეხმარება საზოგადოების განვითარებას;*
- ✓ *სამოქალაქო საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომელიც გამუდმებით ზრუნავს და ერევა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნის განვითარებაში, მომთხოვნი და აქტიურია ხელისუფლების მიმართებით.*

✓ *ესაა ქვეყნის მოქალაქეების ისეთი ერთიანობა, რომლებიც ახდენენ პრობლემის წინ წამოწევას და ხელისუფლებასთან მის მიტანას.*

✓ *სამოქალაქო საზოგადოება არის განთლებულ და მიზნობრივად გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია და შეუძლია მოქალაქეობრივი წვლილი შეიტანოს ამა თუ იმ საქმის მოგვარებასა თუ განხორციელებაში*

✓ *სამოქალაქო საზოგადოება ერის ის ჯანსაღი ელემენტია, რომელიც ბრმად კი არ ემორჩილება ბიუროკრატების მიერ დადგენილ ნორმებს, არამედ თვითონ არის ჩართული მიიღოს შესაბამისი ზომები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, იმოქმედოს ხალხის ინტერესებისთვის.*

✓ *სამოქალაქო საზოგადოება ის პოლიტიკური რგოლია, რომელიც კერძო, მერკანტილური მიზნების გარეშე ცდილობს ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე ჩართული იყოს გადაწყვეტილებს მიღების პროცესში. თუმცა ყველაზე დიდ ფუნქციად და დადებით მხარედ მიმაჩნია ის, რომ სამოქალაქო საზოგადოების წევრები მიმართულნი არიან გაზარდონ მათი არეალი, მაშტაბები, შემოიერთონ უფრო მეტი ადამიანი. აღნიშნულის საუკეთესო მიღწევაა სკოლებში შესაბამისი განათლების პროგრამის დანერგვა, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და უნარჩვევები და პიროვნებად ჩამოყალიბების ამ საწყის ეტაპზე გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების წევრნი.*

✓ *მოქალაქეები, რომელთა შეგნებაც საკმაოდ მაღალ დონეზეა და ზრუნავს ქვეყნის, ქალაქისა თუ კუთხის კეთილდღეობაზე.სამოქალაქო საზოგადოება ჩემთვის არის ის იმედი, რასაც ქვეყნის სტავნაციდაან გამოყვანა შეუძლია;*

✓ *სამოქალაქო საზოგადოება ჩემთვის ნიშნავს იმ წევრებით შეკრულ საზოგადოებას სადაც გამოირჩევიან მაღალი სოციალურ–პოლიტიკური აქტივობით, სახელმწიფოსთან ურთიერთობაში პრიორიტეტს საზოგადოებას ანიჭებენ და ხაზს უსვამენ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის სამსახურის აუცილებლობას.*

✓ *საზოგადოებას სადაც ერთიანობა სიძლიერე ერთმანეთის პატივისცემა გვერდში დგომა და ერთმანეთისადმი უდიდესი სიყვარულია*

✓ *ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით.*

✓ *თვალის არ დახუჭვას, საზოგადოება რომელიც ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, პასუხისმგებლიანი საზოგადოება, მოქალაქეებიგაერთიანებულნი ერთი მიზნით, მოქალაქეები მაღალი ენთუზიაზმით;*

✓ სამოქალაქოა საზოგადოება, როდესაც გადარდებს შენი ქვეყნის ბედი;

ამრიგად გამოკითხულთა უმრავლესობას პირდაპირ და სიღრმისეულად აქვს გააზრებული სამოქალაქო საზოგადოების როლი და ფუნქცია ქვეყნის მართვაში.

მეორე კითხვაზე **რა არის საჭირო იმისთვის,რომ მოქალაქეები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში?** გაცემული პასუხების საერთო ანალიზი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

✓ *საჭიროა ცნობიერების ამაღლება, მეტი განათლება, მოტივაცია, ინფორმირებულობა, სტიმული და ენთუზიაზმი, აუცილებელია საზოგადოების დაინტერესება, ღია ტრენინგების ჩატარება. პირველ რიგში საჭიროა თითოეული ადამიანისთვის საკუთარი ქვეყანა იყოს ტკივილი, საჭიროა პატრიოტიზმით გამსჭვალულნი იყვნენ და რათქმაუნდა ხელისუფლება და მედია უნდა უწყობდეს ხელს, რომ ხალხი იყოს მაქსიმალურად ინფორმირებული.*

✓ *მოქალაქეებმა უნდა იაქტიურონ რადგან საჯარო სექტორი საკმაოდ ღიაა დაინტერესებული მხარისთვის, უნდა გაიზარდოს სანდოობისა და ურთიერთობის ხარისხი;*

✓ *სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ხალხის აზრი და მოსახლეობა უნდა ჩართოს ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, მიაწოდოს მას სწორი და ობიექტური ინფორმაცია;*

✓ აუცილებელია პირველი თვით სახელმწიფომ მისცეს მოქალაქეებს ამის უფლება, შესაძლებლობა და რაც მთავარია მოქალაქემ უნდა იგრძნოს რომ თავის წილ სიტყვას ფასი აქვს

✓ ფაქტია, რომ სამოქალაქო საზოგადოების წევრად უკვე შემდგარი, ჩამოყალიბებული ადამიანის ფორმირება საკმაოდ რთულია. ამიტომ მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ამ გამოწვევის წინაშე დადგნენ ახალგაზრდები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ იყვნენ ცვილილებათა ნოვატორები.

✓ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესწავლა და სწორად გაშუქება მედიის მიერ

✓ ქვეყნის სიყვარული და ნდობა მთავრობის მიმართ!

✓ მოქალაქე არ უნდა იყოს ნეიტრალურ პოზიციაში, ის უნდა იყოს მხარე (სიმართლის და სამართლის)

ამრიგად, მეორე კითხვაზე გაცემული პასუხებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება - დემოკრატიის პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოს მოწყობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მოქალაქეებმა. მოქალაქის ერთ-ერთი მთავარი როლი არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში მონაწილეობაა. მოქალაქეს შეუძლია, გაწევრიანდეს რომელიმე საზოგადოებრივ გაერთიანებაში და ამ გზით მას საშუალება ეძლევა, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობაში, ჩამოაყალიბოს იდეები საკუთარი ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, რა სიახლეების დანერგვას ისურვებდა ამა თუ იმ სფეროში და ა.შ

მომდევნო, მესამე კითხვის არსი მდგომარეობდა შემდეგში - **მჯერა რომ შემიძლია გავლენის მოხდენა და ცვლილების შეტანა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში?**

ამ კითხვის პასუხები პროცენტული მაჩვენებლებით შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 54,4% ნაწილობრივ არის დარწმუნებული რომ შეუძლია ცვლილებების შეტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, 19,4 % ამაში საერთოდ არაა დარწმუნებული, 2,9 % არ იცის, მხოლოდ გამოკიტხულთა 23,3 % დარწმუნებულია რომ მოახდენს გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. (იხ.დიაგრამა N3)

დიაგრამა N3 შეუძლია თუ არა მოქალაქეს ცვლილების მოხდენა პოლიტიკურ პროცესებზე



საინტერესოა,რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფიქრობს ნაწილობრივ შეუძლია გავლენის მოხდენა და ცვლილების შეტანა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.ეს რესპოდენტები საზოგადოების ის ნაწილია, რომელთანაც ეფექტური კომუნიკაციით, ინფორმირებულობის მაღალი დონის უზრუნველყოფით შესაძლებელია დემოკრატიული ქვეყნისთვის საჭირო საზოგადოების ფორმირება.

მეოთხე კითხვაზე **თქვენი აზრით რა უშლის ხელს ,,სამოქალაქო აქტივიზმს“?** გამოკითხულთა აზრი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- ✓ *ხელს უშლის განათლებისა დაბალი დონე და ნდობის დაბალი ხარისხი, სამოქალაქო აქტივობების ხერხების შესახებ ინფორმაციის არ ქონა, მოქალაქეთა ნიჰილისტურად განწყობა, მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობა, თავად სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიურობის სურვილის არქონა, ამაში გარკვეული უარყოფითი როლი სახელმწიფოსაც მიუძღვის. არასწორი ხედვა, მიდგომა და შეხედულებები, აზრის გამოხატვის კომპლექსი, შიში,ალბათ ის რომ ერთ მთლიან გუნდს არ წარმოადგენს (მხარდამჭერი სუსტი ან ცოტა ყავს), რაც ხელისშემშლელი ფაქტორია.;*

- ✓ *ხელშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს სახელმწიფო, კერძოდ რამდენად აძლევს ის მოქალაქეებს შესაძლებლობას იმოქმედონ განსხვავებულად.*
- ✓ *ადამიანები იმდენად არიან დაკავებული ყოფითი პრობლემების მოგვარებით, ვერც ფიზიკურად და ვერ მორალურად ინტერესდებიან სამოქალაქო საკითხებით, მშიერი მოსახლეობის აქტივობა შეუძლებელია , რადგან ისინი ხვალინდელი დღის ლუკმა პურზე ფიქრობენ;*
- ✓ *სამოქალაქო აქტივიზმის როგორც ცნების არ ცოდნა*
- ✓ *ქვეყანაში არსებული სტერეოტიპული აზროვნება, რომ ყველაფერი მაინც ისე იქნება როგორც ,,მათ" სურთ.*

ამრიგად, ძირითადად უმრავლესობის აზრი შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ პარამეტრზე სამოქალაქო აქტივიზმს ხელს უშლის განათლების დაბალი დონე და ნიჰილიზმი, უიმედობა.

მეხუთე კითხვით დაგვაინტერესთა გამოკითხულთა აზრი იმის შესახებ **უზრუნველყოფს თუ არა მაღალ სამოქალაქო ცნობიერებას საქართველოში არსებული განათლების სისტემა?** პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:

გამოკითხულთა 68,9 % თვლის რომ ნაწილობრივ უზრუნველყოფს, 23,3% თვლის რომ ვერ უზრუნველყობს, ხოლო დარჩენილი 7,8% თვლის რომ უზრუნველყოფს. ამრიგად, საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს საჭიროებს სრულყოფას და ზოგიერთი პროგრამების გადახედვას. (იხ.დიაგრამა N4)

დიაგრამა N4 უზრუნველყოფს თუ არა მაღალ სამოქალაქო ცნობიერებას საქართველოში არსებული განათლების სისტემა

5.უზრუნველყოფს თუ არა მაღალ სამოქალაქო ცნობიერებას საქართველოში არსებული განათლების სისტემა?

103 responses



მეექვსე კითხვით შევეცადეთ გაგვეგო თუ რომელ **სამოქალაქო აქტივობაში ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა ?**

- ✓ *ძირითადად არჩევნებში, ერთმა დააფიქსირა სახალხო კრება,*
- ✓ *დასუფთავების აქცია;*
- ✓ *კონფერენცია;*
- ✓ *მშვიდობიქნი აქცია, რომელიც მაღალმთიან აჭარაში ჰესების მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა;*
- ✓ *მე-9 კლასში ვიყავი, როცა პირველად შემოიღეს სამოქალაქო განათლების პროგრამა. იმ დღიდანვე ჩავერთე სამოქალაქო კლუბში. სხვადასხვა სკოლებთან ერთად მონაწილეობას ვღებულობდი სხვადასხვა პროექტების დაგეგმვაში და გრანტების მოძიებაში. ერთ-ერთი პროექტი უკავშირდებოდა ქუჩის ბავშვების პრობლემას. რომელიც ჩვენი კლუბის სახელით მოვამზადეთ. მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა ფორმატის ბანაკებში, პარალელურად ასევე ვესწრებოდი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.*
- ✓ *ერთსქესიანთა ქორწინების უფლების მინიჭების საწინააღმდეგოდ!*
- ✓ *ცოცხალი ჯაჭვი - 2008 წელს.*

- ✓ *ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს ,ვეცნობოდი ბიუჯეტს დაგეგმვას და მის შესრულებას.ვატარებდი საჩვენებელ "არჩევნების დღის პროცედურებს მოსახლეობის ინფორმირებისთვის;*
- ✓ *საქველმოქმედო აქცია, აქცია-მსვლელობა, საერთო სპორტული აქტივობები;*
- ✓ *ბათუმის პორტში ქიმიური ტერმინალის მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ აქციაში;*
- ✓ *ნებისმიერი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაშიც შემიძლია ჩემი წვლილის შეტანა, ყოველთვის ვარ იქ და იმ ადამიანების გვერდით, ვინც იღებენ მონაწილეობას ამ პროცესში. მუდმივად ვარ სიახლეების გენერატორი და შეუძლებელსაც შევჭიდებივარ საქმის მოგვარების მიზნით.*
- ✓ *მონაწილეობას ვღებულობდი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტებში, რომელიც ეხებოდა მნიშვნელოვან საკითხებს. მაგ: არჩევნებთან დაკავშირებით. შემდეგ მეც კი ჩამიტარებია საზოგადოებისთვის ტრენინგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოუწოდებდი მოქალაქეებს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, რადგან ჩემი აზრით, თითოეული ჩვენთაგანის ხმა არის ჩვენი მომავალი.*
- ✓ *გამოკითხულთა შორის არიან საკმაოდ დიდი რაოდენობის პესპოდენტები, რომლებასაც არცერთ აქტივობაში არ მიუღიათ მონაწილეობა ერთ-ერთმა მათგანმა განმარტა - **არცერთში, იმიტო რომ არა ვარ მონდომებული. თვლი ყველგან სიყალბეა და ბრძოლას აზრი არააქვს.***

მეშვიდე კითხვა ასე ჩამოვაყალიბეთ: **რამდენად ხართ ინფორმირებული სამოქალაქო ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ საქართველოში?**

გამოკითხვის შედეგად გაირკვა რომ გამოკითხულთა 77,7% ნაწილობრივ ინფორმირებულნი არიან სამოქალაქო ჩართულობის შესახებ, 10,7 სრულიად ინფორმირებულნი, ხოლო 11,7% საერთოდ არაა ინფორმირებული. აღნშნული გამოკითხის შედეგად ცნობილი გახდა რომ მოქალაქეთა საკმაოდ დიდი უმრავლესობა ნაწილობრივ მაინც ფლობს ინფორმაციას ჩართულობის შესახებ. (იხ.დიაგრამა N5)

დიაგრამა N5 - ინფორმირებულობა სამოქალაქო ჩართულობის შესახებ



მერვე კითხვა ემსახურებოდა ინფორმაციის მოპოვებას იმის თაობაზე, თუ **როგორ აფასებენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონეს საქართველოში?** შეთავაზებული პასუხებზე პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა: დადებითად - 4,9% , უარყოფითად - 29,1%, საშუალოდ - 66 % (იხ.დიაგრამა N6)

დიაგრამა N6 - სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონის შეფასება საქართველოში?



აქედან გამომდინარე ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და სრულყოფილების კუთხით საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა და ეს არ გახლავთ გაყინული პროცესი.

მეცხრე კითხვაზე **როგორ ფიქრობთ, უწყობს თუ არა მედია ხელს სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას?** გამოკითხულთა უმრავლესობამ 65% უპასუხა ნაწილობრივ, 11,7% უარყოფითად, ხოლო 23,3% დადებითად. აღნშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მედია დიდ როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში,მაგრამ საქართველოში სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს. შეიძლება

ვივარაუდოთ რომ აქ კონკრეტულად ტელევიზიების ნდობისა და ობიექტურობის პრობლემა უფრო დგას. (იხ.დიაგრამა N7)

დიაგრამა N7 მედია და სამოაქალაქო ცნობიერება



მედია-საშუალებების ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ საზოგადოების სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფაა.საზოგადოებას უნდა ჰქონდეს იმედი იმისა რომ მედია ყოველთვის იქნება იქ სადაც ამის საჭიროება არსებობს.

და ბოლოს მეათე კითხვაზე - **რა ხარისხით შეაფასებდით სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობას?** რესპოდენტებს ოთხი სავარაუდო პასუხი შევთავაზეთ, რომელზეც პასუხები ასე გადანაწილდა - ძალიან დაბალი ხარისხით - 20,4%; დაბალი ხარისხით - 35%, საშუალო ხარისხით - 43,7%, ხოლო მაღალი ხარისხით - 1%.

დიაგრამა N8 - სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის ხარისხი



ამრიგად სამაგისტრო თემაზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა ის სავარაუდო ვითარება, რაც არის საზოგადოებაში. რასაკვირველია სოციოლოგიური კვლევა არ გვაძლევს ზუსტ და გადამწყვეტ მონაცემებს, მაგრამ ქმნის საერთო სურათს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე სამოქალაქო აქტივობის კუთხით. ერთი რამ შეიძლება გადაწყვეტით ითქვას - ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის პროცესშია, ჩვენ ახალი დემოკრატიის ქვეყანა ვართ და რაც მთავარია, ამ კვლევიდანაც ჩანს, რომ ყველა სიახლეს მოქალაქეები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ თანამედროვე გამოწვევას საქართველომ უნდა უპასუხოს ეროვნულ და ტრადიციულ ღირებულებებთან შესაბამისობაში.

დასკვნა

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომში განხილულმა საკითხებმა ცხადად გვაჩვენა ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, როგორც დადებითი ასევე პრობლემური საკითხები. 27 წლის მანძილზე აშკარაა რომ არის მთელი რიგი პროგრესი ზოგადად სახელმწიფოს მმართვის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ არის სფეროები, რომელბიც საჭიროებს ცვლილებასა და ახალ თანამედროვე მიდგომებს.საკითხის განხილვის პრობლემის ცენტრი აღმოჩნდა საზოგადოების სისუსტე, არასახელმწიფოებრივად აზროვნება, პასიურობა სახელმწიფოს მართვაში ჩართულობის თვალსაზრისით.

სამაგისტრო ნაშრომში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ევოლუციის პროცესი, განხილულია სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნქციები ეფექტური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

მაღალი სამოქალაქო მონაწილეობა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობას, ღიაობას, მოქალაქეთა მხრიდან აღიარებას და ნდობის ხარისხის გაზრდას, ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფოს განვითარებას.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის გამოიკვეთა, რომ:

- ✓ *საქართველოს საკმაოდ სერიოზული გამოცდილება აქვს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის თვალსაზრისით. დიდია მათი როლი საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში.*

- *საზოგადოებას აქვს დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა, მათ მიერ „დაქირავებული მოსამსახურეები“ არიან და ხალხის ინტერესებზე ორიენტირებულნი უნდა იყვნენ. თითოეულმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას შეუძლია წვლილის შეტანა დემოკრატიზაციის პროცესში, ეს მისი უფლებაცაა და ვალდებულებაც, რადგან არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის ბედი არ გვადარდებდეს.*
- *ზოგადად განათლების და განსაკუთრებით სამოქალაქო განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა ადამიანმა ბავშვობიდან ქვეყნის სიყვარულთან ერთად ისწავლოს სახელმწიფოებრივად აზროვნება;*

სამაგისტრო თემის მეცნიერული სიახლე გახლავთ ჩემს მიერ თეორიულ თუ სოციოლოგიურ კვლევებზე დაფუძნებული შემდეგი რეკომენდაციები:

- *საქართველოში თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც საშუალება აქვთ საზოგადოებას პირდაპირი ჩართულობის უზრუნველყოფისა არ ქმნიან დაბრკოლებებს მოსახლეობის თანამონაწილეობის კუთხით, მაგრამ არც ზედმეტად აქტიურები არიან ამ მიმართულებით. მხოლოდ საზოგადოების ინტერესის დაბალ დონეზე აქცენტის გაკეთება არ მიმაჩნია მართებულად, რადგან თვითმმართველობის ორგანოებიც არ არიან პროაქტიურები ჩართულობის მაქსიმალური დონის უზრუნველსაყოფად.*

  ჩემი აზრით მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი დონე. მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა უნდა იქცეს მათ ერთ-ერთი მოვალეობად,რადგან ***დემოკრატია მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც ძალაუფლება ხალხის ხელშია და ხალხის ხმა გაგონილია.***
- *ინფორმირებულობის მაღალი დონე;*

  აუცილებელია საზოგადოება ფლობდეს სათანადო ინფორმაციას, უნარ ჩვევებსა და ცოდნას რაც ხელს შეუწყობს მომავალში მათი სამოქალაქო აქტივობის ზრდას.

ჩემი აზრით სწორედ ინფორმაციის თავისუფლებაზე, ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული მოქალაქეთა მონაწილეობისკენ მიმავალი გზის ეფექტურობა .

- ✓ *რაც უფრო მეტად იქნება საზოგადოება ჩართული გადაწყვეტიულებების მიღების პროცესში მით უფრო მეტად ღია იქნება მათთვის მართვის პროცესი, პასუხი გაეცემა მათთვის საინტერესო ყველა შეკითხვას რაც საბოლოოდ გაზრდის ნდობის ხარისხს და შეამცირებს გადაწყვეტილების მიღების დროს არსებულ ბარიერებს.*
- ✓ *საქართველოს კანონმდებლობა დასახვეწია საზოგადოებრივი მონაწილეობის კუთხით. მოქმედი საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრავს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში საზოგადოების ჩართვის სხვადასხვა ფორმებსა და პროცედურებს,სადაც მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობა, მაგრამ ვალდებულება გადაწყვეტილების მიღებამდე საკუთარი ინიციატივით უზრუნველყონ მოქალაქეთა თანამონაწილეობა კანონმდებლობაში სრულყოფილად არ არის ასახული.*
- ✓ *აუცილებელია სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა მოსახლეობის უფლებებისა და როლის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სკოლების გააქტიურება.*

ჩვენი აზრით საქართველომ უნდა შეძლოს შეინარჩუნოს ეროვნული, კულტურული, ტრადიციული მემკვიდრეობა და აი ამ საინტერესო ცივილიზაციის ჭრილში მოახდინოს დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა. თანამედროვე ეპოქაში არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ ყველა სახელმწიფოსათვის მთავარი თემა მშვიდობის უზრუნველყოფაა. საქართველოს შემთხვევაში უზრუნველყოფას შენარჩუნებაც ემატება და არა მხოლოდ მშვიდობისა, არამედ თვითმყოფადობისა და ეროვნულობისა. ამდენად სამოქალაქო საზოგადოება არ უნდა პასუხობდეს მხოლოდ დასავლურ თუ აღმოსავლურ

გამოწვევებს. ქართული სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს ურთიერთშეზავებული კონსისტენცია უახლესი გამოწვევისა ეროვნულ გამოწვევებთან.

ბიბლიოგრაფია

1. არისტოტელე, ,,პოლიტიკა ’’ ძვ. ბერძნ. თარგმნა, შესავალი,წერილი და განმარტებები დაურთო თამარ კუკავამ თბ., 1995წ , გამომცემლობა „პირველი სტამბა“", ნაწილი 1.
2. ბიჭაშვილი მ.,, ნარკვევები პოლიტიკურ თეორიაში“. თბ., 2012წ.
3. გოგებაშვილი, ი. რჩეული თხზულებანი, ტ. I წერილი რა მიზეზია„წერა-კითხვის საზოგადოების“ მცირე ნაყოფიერებისა? 1883 წ
4. გოდერიძე ლ., „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“, თბ., 2006წ. გვ. 311
5. გორგაძე ნ., „აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა“.
6. ევროპული ქარტია თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 1985 წელი;
7. თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისის - (CCA Tbilisi), ინიციატივა ცვლილებებისათვის თემის, თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე. სათემო განვითარების ცენტრი (CDC) , თბ., 2015წ
8. კოპალიანი ბ. სადოქტორო ნაშრომი: ,,სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში რეალობა და პერსპექტივები“ 2016წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
9. მაკიაველი ნ.,, მთავარი’’ ბაკურ სულაკაური გამომცემლობა თბ. 2010 წ.

10. მონტესკიე შ. ,, კანონთა გონი.'' მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1994. გვ.13.
11. მუსხელიშვილი მ. „სამოქალაქო საზოგადოება-შედარებითი ანალიზი“, თბ., 2006წ
12. რუხაძე ზ., „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“
13. ურუშაძე ი. „ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო“
14. შუბითიძე ვ., „ნიკო ნიკოლაძე - კაცი - სახელმწიფო“, თბ., 2013წ
15. ჭავჭავაძე ი. წერილები ,,შინაური მიმოხილვა'' ელ.მისამართი: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ilia-tchavtchavadze-rcheuli.pdf
16. ჭავჭავაძე, ი. ტ. VII. გვ.224
17. საქართველოს კონსტიტუცია , www.matsne.ge
18. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ www.matsne.ge
19. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი www.matsne.ge
20. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია, 2015 წ. „ სამოქალაქო განათლების მიმოხილვა“

ელ მის: http://cela.ge/ge/system/files/sam_ganatlebis_mimokhilva.pdf

21. ურიდია ს. „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“ თბ. 2004წ
22. ჟურნალი „სამოქალაქო საზოგადოება : ბროშურების სერია ჟურნალისტებისთვის“[მოამზადა: მარინა მუსხელიშვილი მ. გია ჟორჟოლიანი გ.] ; საზ. კვლევის ცენტრი - თბ., 2000 - 46გ